Предприятия промышленности стремились выполнить план прежде всего по этому показателю, т. к. от него непосредственно зависел уровень оплаты работников. Невыполнение же заказов торговли грозило в самом худшем случае не более 3% убытков, которые покрывались из общей прибыли и лишь косвенно отражались на фондах стимулирования. В этих условиях показатель реализации не имел абсолютного значения для системы народнохозяйственного планирования, ибо за конкретными цифрами скрывались разные экономические процессы.

Промышленные предприятия не были заинтересованы в производстве дешевых, хотя и прибыльных изделий, потому, что объем реализованной продукции в стоимостном выражении в этом случае резко сокращался.

Решения проблемы выпуска продукции в соответствии с заказами торговли заключались не в одновременных мерах экономического

воздействия на промышленность в выпуске того или иного вида продукции, хотя и они могли дать определенный результат для сбалансирования рынка отдельных товаров. Решительные меры принимались лишь после того, как торговля, а вместе с ней и все народное хозяйство несли значительные убытки от скопления неходовых товаров. К тому же, невозможно было в каждом конкретном случае, по каждому товару учитывать складывающуюся конъюнктуру и давать распоряжение на уровне Госплана СССР или даже министерства по порядку планирования его производства. Если удавалось в централизованном порядке разрешить проблемы производства и реализации, скажем, посуды, в то же время появлялись проблемы реализации одежды, обуви или других товаров. Пока разрешалась очередная проблема, устаревала прежде действовавшая система планирования по предыдущему товару и т. д.

Разрешение противоречия между интересами производителей и потребителей заключается, конечно, не в возврате к детальному планированию натуральных показателей. Сам показатель реализованной продукции не отвечал требованиям развития рынка в современных условиях.

Установление плана производства должно строиться на основе заказов торговли, при учете натуральных количественных показателей заказанного выпуска продукции и средних цен по ассортиментным группам. Оценку же деятельности следует проводить по соответствию достигнутых показателей плану, утвержденному сверху, и заказам торговых организаций по детализированным ассортиментным позициям.

Следует отметить, что такой порядок планирования и оценки деятельности предприятий, при котором главным становится удовлетворение заказов потребителей, позволяет повысить роль торговли во взаимоотношениях ее с промышленностью и обеспечить более полное удовлетворение спроса по ассортиментным позициям. Автоматически повышается и роль оптовых ярмарок в формировании производственного ассортимента и заключении договоров между предприятиями торговли и промышленности. В недавнем прошлом оптовые ярмарки носили во многом формальный характер. Промышленные предприятия навязывали «свой» ассортимент, а торговля вынуждена была оформлять договоры на поставку этих товаров, иначе план розничного товарооборота мог оказаться без товарного обеспечения.

Так, по товарам легкой промышленности план розничного товарооборота из года в год не обеспечивался товарными ресурсами и это сказывалось на результатах оптовых ярмарок по продаже тканей, одежды, обуви. Предприятия легкой промышленности представляли на ярмарке товары, которые не пользовались спросом покупателей, а торговые организации отказывались закупать их. В то же время заказы торговли на товары, пользующиеся спросом, оставались неудовлетворенными еще на стадии планирования.

Так, на 1987 г. ввиду слабого обновления ассортимента предлагаемых промышленностью изделий, включения в план производства товаров, не заявленных торговлей, не согласован с промышленностью ассортимент по рыночному фонду на 228,0 млн. руб., из них:

по Министерству легкой промышленности на 24,7 млн. руб.  
(ткани всех волокон на 12,2 млн. руб.,  
швейные изделия на 11,0 млн. руб., пред-  
меты женского туалета — на 1,5 млн. руб.)

по Министерству местной промышленности на 153,6 млн. руб.  
(швейные изделия на 94,5 млн. руб., три-  
котажные товары — на 11,0 млн. руб., га-  
лантерейные изделия — на 30,3 млн. руб.,  
товары хозяйственного обихода на 17,0  
млн. руб., товары культурно-бытового на-  
значения — на 0,86 млн. руб.)

по Минлесдревпрому на 2,6 млн. руб.

Пользуясь такой диспропорцией, промышленные предприятия поставляют торговле товары, не соответствующие образцам по заключенному договору, а торговые организации не могут применить меры экономического воздействия за невыполнение договорных обязательств.

Восстановление равновесия на рынке между структурными элементами спроса и предложения не может быть достигнуто только путем изменения системы планирования. Одновременно должен быть осуществлен ряд мер по совершенствованию применения экономических методов управления, недостатки которых в настоящее время не позволяли полностью решить проблемы реализации.

Существенное влияние на формирование соотношения между спросом и предложением в каждом конкретном случае оказывает цена. От уровня розничной цены в большинстве случаев зависит объем спроса. С другой стороны, на объем и структуру предложения влияет уровень оптовой цены. Эта взаимосвязь между спросом, предложением и ценами давно известна и используется в практике ценообразования; характеризуется она показателями эластичности спроса и эластичности предложения. Однако в ряде случаев именно недостатки в ценообразовании становятся причиной сосуществования на рынке дефицита, достатка и избытка товаров одной товарной группы.

Свойство эластичности предложения в настоящее время действует в определенной степени стихийно: увеличивается производство «выгодных», рентабельных товаров и сокращается производство «невыгодных» товаров. В результате на рынке появляется дефицит или избыток отдельных товаров в зависимости от того, насколько производство отдельных их видов соответствует хозрасчетным интересам производителей. Такая практика ценообразования приводила к противоречию предприятия, расширяющие (в целях увеличения объема реализации) производство товаров, пользующихся спросом, по убыточным видам продукции неизбежно оказывались перед фактом уменьшения массы прибыли и сокращения уровня рентабельности. Поэтому производители нередко сокращали производство малорентабельных и убыточных (хотя и пользующихся спросом) изделий и увеличивали за счет этого производство высокорентабельных видов продукции.

Таким образом, появляются на рынке товары, не пользующиеся спросом и потому плохо реализуемые (но зато прибыльные для предприятий, их производящих) при одновременной нехватке продукции повышенного спроса. В результате искусственно усугубляется проблема реализации, создаются противоречия между хозрасчетными интересами отдельных предприятий и интересами удовлетворения общественных потребностей.



Колебания уровня рентабельности по различным изделиям сказываются на выполнении заказов торговли. Например, средний уровень рентабельности производства мебели на предприятиях Министерства лесной и деревообрабатывающей промышленности СССР составляет 25%. В то же время производство стульев, детской мебели, кухонной мебели убыточно или малорентабельно.

Использование оптовых цен для регулирования предложения в целях установления на рынке равновесия, предполагает установление одинакового уровня рентабельности на взаимозаменяемые виды продукции. Именно в этом направлении следует совершенствовать систему оптовых цен на действующие виды продукции. Одинаковый уровень рентабельности при изменении системы планирования показателя реализованной продукции позволит обеспечить более равномерное выполнение заказов торговли.

Кроме того, можно в большей степени использовать свойство эластичности предложения для сознательного регулирования (уменьшения или увеличения) производства отдельных товаров. Имеется в виду, что установление повышенной оптовой цены на товар с учетом интенсивности спроса и ограниченности предложения будет материально заинтересовывать промышленные предприятия в выпуске недостающих товаров. Аналогично по товарам, спрос на которые падает, целесообразно устанавливать пониженную оптовую цену.

Использование оптовой цены в таком аспекте потребует некоторой децентрализации, которая, разумеется, не нарушит в целом порядка установления оптовой цены. В централизованном порядке, однако, крайне сложно предусмотреть условия реализации отдельных товаров (детализированный ассортимент товаров народного потребления составляет сейчас около 1 млн. наименований), учесть торговую конъюнктуру, складывающуюся в каждый конкретный момент времени, интенсивность спроса населения и изменения соотношения между спросом и предложением по отдельным ассортиментным разновидностям.

В связи с этим было бы целесообразно обеспечить возможность промышленных предприятий и торговых организаций, вступающих в договорные отношения, несколько изменять уровень оптовой цены на отдельные ассортиментные разновидности товаров с учетом конкретных условий их реализации: повышать цены на изделия, пользующиеся повышенным спросом, и снижать их по мере удовлетворения спроса. Такие отклонения можно производить, не затрагивая уровень розничной цены. В первом случае, повышенная цена позволит компенсировать дополнительные расходы промышленности по внедрению в серийное производство новых и дефицитных товаров за счет уменьшения уровня торговой скидки (поскольку реализация товаров повышенного спроса требует меньших затрат торговли). Во втором случае более высокий уровень торговой скидки будет компенсировать затраты торговли на реализацию товаров ограниченного спроса. В целом за период времени (или по товарной группе) уровень оптовой цены будет соответствовать цене, установленной по данному товару (или товарной группе) в централизованном порядке.

Достижение на рынке необходимого соответствия между спросом и предложением по отдельным товарным группам не ограничивается методами экономического воздействия на промышленность. Для усиления воздействия торговли, как представителя потребителя, на

производство, необходимо укреплять ее приоритет и в юридическом отношении.

Воздействие торговли на производство было ограничено рядом обстоятельств. Одно из них — форма расчетов за товары, не соответствующая современным экономическим условиям. Известно, что в отношениях между промышленностью и торговлей в основном применялась акцептная форма расчетов с применением платежных требований. Эта форма расчетов введена в стране более 40 лет назад, в условиях недостатка товарных ресурсов и отстающего от спроса товарного предложения, соответствовала этим экономическим условиям. Торговые предприятия принимали, оплачивали и реализовывали, как правило, любые товары, поставляемые им поставщиками. Условия расчетов преследовали лишь одну цель — ускорение оплаты счетов промышленности.

В настоящее время дефицит, недостаток и избыток сосуществуют. Поэтому со стороны торговли необходим строгий контроль за поступающими товарами. Он особенно необходим в условиях, когда основной формой взаимоотношений торговли и промышленности становится хозяйственный договор. Этим целям должны служить формы расчетов с поставщиками. Применяемая ранее акцептная форма расчетов недостаточно соответствовала таким требованиям. При этой форме расчетов торговая организация могла отказаться от оплаты платежного требования поставщика в ограниченных случаях. Отказ от оплаты требования должен быть обоснован и документально оформлен, а для этого было необходимо провести приемку поступивших товаров. Торговая организация имела в распоряжении для этих целей всего 10 дней. Практически этот срок оказывался недостаточным, и всю ответственность за реализацию товаров приходилось принимать торговле.

Интересам народного хозяйства соответствовала бы такая форма расчетов, при которой торговля оплачивала бы счета поставщиков лишь после приемки товаров по качеству и комплектности.

Имеет смысл установить дифференцированную систему расчетов за товары в зависимости от выполнения промышленными предприятиями своих договорных обязательств перед торговлей. Например, с предприятиями, невыполняющими договор, окончательный расчет производить после продажи товаров населению. В то же время можно переводить на льготную систему расчетов предприятия, добросовестно выполняющие свои договорные обязательства.

Удовлетворение спроса во многом зависит от того, как организовано планирование и распределение товарных ресурсов, т. е. основного элемента, составляющего предложение товаров. В настоящее время эта система пока не совсем отвечает современным условиям торговой деятельности.

Как известно, в условиях недостатка товаров на рынке товарное обеспечение торговыми организациями осуществлялось в основном в форме распределения рыночных фондов (так называемое «фондирование» товаров). По этому порядку по важнейшим товарам народного потребления (их перечень включает свыше 400 наименований) устанавливался рыночный фонд, который утверждался Советом Министров СССР или Госпланом СССР. Затем установленный рыночный фонд распределялся по союзным и автономным республикам, краям, областям, торговым системам, торговым организациям и предприятиям.

Этот принцип распределения имел существенные недостатки в ор-

ганизации хозяйственных связей между промышленностью и торговлей. Фондирование создавало гарантию сбыта для поставщиков, ослабляя хозрасчетные позиции торговли. Тем самым законодательно закреплялся приоритет промышленности в отношениях с торговлей, поскольку торговые организации не имели права отказаться от излишне выделенных им фондов и лишены были возможности воздействия на формирование плана производства, что особенно важно в отношении распределения достаточных товаров, а тем более товаров, имеющих в избытке.

Такая система распределения товарных ресурсов позволяла промышленным предприятиям нарушать ассортимент заказанных торговлей товаров, т. к. произведенные товары в любом случае были реализованы в торговлю. Поэтому совершенствование отношений торговли и производства предполагает изменение ранее действовавшего порядка распределения товаров.

Фондирование товаров уже не может в настоящее время выполнить свои основные задачи. В основу деления товаров на распределяемые (централизованно) и нераспределяемые группы положены два признака — народнохозяйственное значение товара и его дефицитность. Конечно, эти два признака играют существенную роль в выборе того или иного порядка планирования товарных ресурсов. Однако, во-первых, многие распределяемые в централизованном порядке товары уже не являются дефицитными; во-вторых, некоторые товары несколько раз попеременно побывали в разряде дефицитных, достаточных и избыточных, между тем не выходя из списков централизованно распределяемых; в-третьих, «фондирование» товаров, будучи в большей степени административной мерой в отношении производства и распределения дефицитных товаров, не способствовало экономической заинтересованности предприятий в расширении производства дефицитных товаров. С большим успехом это можно было бы сделать, регулируя уровень оптовых цен.

Серьезное влияние на процесс развития рынка на современном этапе оказывает научно-техническая революция. Одно из направлений этого воздействия — повышающаяся степень обновления ассортимента продукции и появление на рынке массы новых товаров. В интенсивном типе воспроизводства быстрое обновление продукции становится нормальным процессом развития производства и рынка.

В то же время повышающаяся степень обновления ассортимента под влиянием научно-технической революции вносит неопределенность в процесс реализации товаров на рынке. Как было выяснено, этот важный момент учитывается недостаточно, вследствие чего возникают диспропорции на рынке, дефицит новых товаров становится чуть ли не обязательной нормой. Причинами этого являются недостатки в организации и стимулировании выпуска новых товаров.

В связи с этим все более актуальной в настоящее время становится проблема выбора показателя, характеризующего обновление продукции. Это особенно важно потому, что одной из особенностей является то, что в практике планирования для каждой отрасли, каждого предприятия устанавливается доля новой продукции в общем объеме производства. Если при этом не будет выбран показатель, по которому можно было бы объективно судить о действительной степени новизны продукции, то обновление будет происходить по наиболее легкому пути. Предприятия, стремясь выполнить и перевыполнить установленный для них показатель, будут производить «обновленные»

старые изделия при сравнительно небольших затратах. Эти «новинки», попадая на рынок, будут пополнять запасы неходовых, а затем и уцененных товаров.

Есть основания для таких предложений. В настоящее время обновление продукции оценивается по количеству новых артикулов и моделей, как правило, незначительно отличающихся от ранее выпускавшихся.

По отдельным отраслям наблюдаются значительные колебания показателя обновления. Наиболее высоки показатели в отраслях обувной, швейной и трикотажной промышленности. Значительно ниже — в отраслях, производящих ткани.

Наглядно роль признака новизны модели в производстве новой продукции представлена следующими диаграммами:

Швейная пром.		Трикотажная пром.	
12,4%	87,6%	38,0%	62,0%
Обувная пром.		доля новой продукции, выпущенной с применением нового сырья, новых структур, новой технологии, новой отделки, новых рисунков	
22,2%	77,8%	доля новой продукции, выпущенной по признаку новой модели	

Для каждой отрасли характерна очень низкая доля продукции, отличающейся принципиально новой конструкцией (модели, фасона, технологией изготовления, структурой, переплетением и т. д.)

Включение незначительно отличающихся друг от друга моделей в совокупность признаков новизны продукции позволяет предприятиям обновлять ассортимент с наименьшими затратами. Однако применяемый показатель не способствует действительному обновлению продукции, повышению ее качества. Незначительная модернизация моделей не может оказать влияния на процесс развития и совершенствования потребностей потребителей этой продукции. Процесс совершенствования потребностей в настоящее время обгоняет темпы развития и совершенствования отечественного производства<sup>2</sup>. А в результате покупатели отказываются от покупки такой «обновленной» продукции, которая откладывается в сверхнормативных запасах.

В то же время спрос остается неудовлетворенным, т. к. он все больше переключается на изделия с широким применением новых видов сырья, структур, технологических процессов, с новой отделкой и т. д.

Подобные процессы происходят и в других отраслях промышленности. Химическая промышленность выпускает моющие средства 100 наименований, из них пользуется спросом только 1/3. Выпускается 32

<sup>2</sup> Потребность интернациональна, она существует и при отсутствии производства каких-либо товаров внутри страны благодаря наличию такого производства в других странах.

модели утюгов, 23 марки стиральных машин (из которых принципиально различаются только ручные и полуавтоматические стиральные машины) и т. п. Количество разновидностей увеличивается, ничего не давая для потребления в качественном отношении. Очевидно, решение проблемы реализации в настоящее время неразрывно связано с проблемой оптимизации ассортимента товаров народного потребления (а не его механического расширения) в направлении повышения доли новых изделий.

Степень обновления продукции в интенсивном типе воспроизводства становится одним из важнейших показателей качества. Товары, не отвечающие по своим эстетическим, техническим и др. показателям современному техническому уровню, не могут быть признаны достаточно качественными. Поэтому меры по повышению качества продукции обязательно должны быть подкреплены и мерами по повышению заинтересованности предприятий в обновлении своей продукции, среди которых основное значение должны иметь правильно установленные цены на новые изделия, оптимальное соотношение цен на старые и новые виды продукции и критерии оценки новизны продукции, отражающие соответствие новых изделий уровню потребностей.

Однако решение изложенных проблем является лишь началом работы по созданию народнохозяйственной системы удовлетворения потребностей трудящихся. Оно позволит улучшить сложившуюся практику, устранить многие противоречия, приводящие к диспропорциям на рынке, создать предпосылки для решения проблемы реализации на более высоком уровне — взаимодействия производства и потребления. Совместные усилия торговли и промышленности обеспечат комплексный подход к изучению потребностей, а создание народнохозяйственной системы их удовлетворения позволит максимально повысить эффективность общественного производства.

წარმოდგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის არასაწარმოო სფეროს  
ეკონომიკური პრობლემების განყოფილებამ /

რამაზ აბისაძე

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფის გავლენა შრომის  
ნაყოფიერების ამაღლებაზე საქართველოს სსრ  
ელექტროენერგეტიკაში

შრომის ნაყოფიერების ზრდა უდიდეს როლს ასრულებს აღამიანთა სა-  
ზოგადოების განვითარებაში. ნებისმიერ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორ-  
მაციაში, მათ შორის სოციალიზმის დროსაც, კ. მარქსი აღნიშნავდა, რომ  
დროის ეკონომია სოციალიზმის დროს პირველ ეკონომიკურ კანონად რჩება<sup>1</sup>.  
ე. ი. ლენინი მას გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდა, იგი მიუთითებდა:  
„შრომის ნაყოფიერება საბოლოო ანგარიშით, ეს არის ყველაზე მნიშვნელო-  
ვანი, ყველაზე მთავარი, ახალი საზოგადოებრივი წყობილების გამარჯვებისა-  
თვის“<sup>2</sup>.

სკკ XXVII ყრილობის მიზანდასახულობათა შორის უდიდესი მნიშვნე-  
ლობა ენიჭება შრომის ნაყოფიერების ამაღლებას. გათვალისწინებულია საუ-  
კუნის დამლევისათვის შრომის ნაყოფიერება გაიზარდოს 2,3-2,5-ჯერ, რა-  
თა გადაიდგას გადამწყვეტი ნაბიჯი ამ მაჩვენებლის მიხედვით უმაღლესი  
მსოფლიო დონის მისაღწევად<sup>3</sup>.

შრომის ნაყოფიერების გაანგარიშების სხვადასხვა მეთოდი არსებობს. ეს  
მეთოდები ეკონომიკურ ლიტერატურაში ფართოდ განიხილება, ამიტომ მათზე  
აქ არ შევჩერდებით. ერთს დავძენთ, რომ ჯერ-ჯერობით არ არსებობს ისეთი  
მეთოდი შრომის ნაყოფიერების გაანგარიშებისა, რომელიც რაღაც ნაკლო-  
ვანებით არ ხასიათდებოდეს და ზუსტად გამოხატავდეს შრომის ნაყოფიერე-  
ბის ცვლილების ტენდენციას.

ელექტროენერგეტიკაში, ამ მხრივ, საქმე შედარებით მარტივადია, რად-  
განაც აქ ძირითადად მხოლოდ ერთი სახის პროდუქტი — ელექტროენერგია  
იწარმოება. ამდენად ყველაზე მისაღებ მაჩვენებელს ელექტროენერგეტიკაში  
წარმოადგენს ნატურალური მაჩვენებელი, ე. ი. გამომუშავებული ელექტრო-  
ენერგიის მოცულობის (კვტ-სთ) ფარდობა დასაქმებულ მუშაკთა რიცხოვ-  
ნობასთან.

იმის გამო, რომ ელექტროენერგეტიკაში ელექტროენერგიის გამომუშა-  
ვება ძლიერად დამოკიდებული ბუნებრივ ფაქტორზე და ელექტროსადგურთა  
მუშაობა განისაზღვრება დისპეტჩერის მიერ მიცემული დატვირთვის გრაფიკით  
(და მასადაამე საწარმოო სიმძლავრის გამოყენება მცირედაა დამოკიდებუ-  
ლი სადგურის პერსონალზე), ამდენად აქ მიზანშეწონილია გამოვიყენოთ ტექ-  
ნიკური მაჩვენებლები, რომლებიც გარკვეულ წილად ახასიათებენ შრომის  
მწარმოებლური ძალის დონეს. ასეთი მაჩვენებლებია მაგალითად, მომსახურე-

<sup>1</sup> Маркс К. и Энгельс Ф. Соч., изд. 2, т. 46, ч. 1, с. 117.

<sup>2</sup> ე. ი. ლენინი, თხზ., გამოც. 4, თბ., გვ. 499.

<sup>3</sup> საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობის მასალები, თბ., 1986, გვ. 422.

ბის კოეფიციენტი და მისი შებრუნებული სიდიდე — საშტატო კოეფიციენტი, ვინაიდან მომსახურების კოეფიციენტის ცვლილება ემთხვევა შრომის ნაყოფიერების ცვლილებას, ხოლო საშტატო კოეფიციენტისა კი უკუდამოკიდებულებაშია, ამდენად უფრო მოსახერხებელია მომსახურების კოეფიციენტის გამოყენება. მომსახურების კოეფიციენტი იაგარიშება ფორმულით:

$$K = \frac{N}{Z}$$

სადაც K — არის მომსახურების კოეფიციენტი, N — დადგმული სიმძლავრე, Z — სამრეწველო-საწარმოო პერსონალის რიცხოვნობა.

როგორც ნატურალური, ისე ღირებულებითი ფორმით გაანგარიშებული შრომის ნაყოფიერების სიდიდე ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება ელექტროენერგეტიკის სხვადასხვა საწარმოში. საერთოდ, რადგანაც ჰიდროელექტროსადგურები უფრო მარტივი საწარმოო პროცესებით ხასიათდება, აქ შრომის ნაყოფიერება ელექტროენერგიის გამომუშავების მიხედვით, 3,5-ჯერ მეტი უნდა იყოს, ვიდრე თბოელექტროსადგურებში. იგივე ითქმის სიმძლავრის მიხედვით გაანგარიშებულ შრომის ნაყოფიერებაზეც. საქართველოს სსრ ელექტროენერგეტიკაში ეს თანაფარდობა დარღვეულია. მაგალითად, 1936 წელს მართალია, მომსახურების კოეფიციენტი ჰიდროელექტროსადგურებში 2,1-ჯერ მეტი იყო, ვიდრე თბოელექტროსადგურებში, მაგრამ შრომის ნაყოფიერება გამომუშავებული ელექტროენერგიის მიხედვით თბოელექტროსადგურებში უფრო მეტი იყო, ვიდრე ჰიდროელექტროსადგურებში. კიდევ უფრო თვალნათლივ ჩანს ეს ცალკეული ელექტროსადგურების მიხედვით (ცხრილი 1). ეს მეტყველებს ჯერ ერთი იმაზე, რომ ჰიდროელექტროსადგურ-

ცხრილი 1

შრომის ნაყოფიერების დონე საქართველოს სსრ ელექტროენერგეტიკაში 1986 წელს\*

	ელექტროენერგიის მიხედვით კვტ სთ/კაცო	მომსახურების კოეფიციენტი კვტ/კაცო
ელექტროენერგეტიკა	1311000	399
თეს	5535195	1059
ჰეს	5207163	2318
თბილისის სრეს	9004037	1526
ტყვარჩელის სრეს	697278	531
თბილისის თეც	658157	105
ენგურჰესის კასკადი	7773554	4350
რიონჰესის კასკადი	5651500	1452
ხრამჰესის კასკადი	6785060	2744
ზაპესის კასკადი	1659750	588
ვარციხჰესის კასკადი	5708042	1453
შაორი-ტყიბულჰესის კასკადი	2108190	1185
ჟინვალჰესი	3824486	1806

\* Чернухин А. А., Флаксерман Ю. Н. Экономика энергетики СССР, М., Энергия, 1975, с. 58.

\* მოცემული ცხრილი და ცხრილები 2, 5, 6, გაანგარიშებულია „საქმთავარენერგოს“ მონაცემების მიხედვით.

რებში პერსონალის ჭარბი რაოდენობა იმყოფება და მეორეც იმაზე, რომ აქ სიმძლავრეთა გამოყენების დონე დაბალია. საერთოდ შრომის ნაყოფიერების შედარებით მაღალი დონე არის თბილისის სახელმწიფო რაიონულ ელექტროსადგურებში, ენგურჰესის და ხრამჰესის კასკადებში. ყველაზე ცუდი მაჩვენებელი შრომის ნაყოფიერებისა არის ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონულ ელექტროსადგურში, თბილისის თბოელექტროცენტრალში და ზაპვისის კასკადში. აღსანიშნავია ის, რომ შრომის ნაყოფიერების მაღალი დონის პოტენციური შესაძლებლობა მთელ რიგ ელექტროსადგურებში უფრო დიდია, ვიდრე შრომის ნაყოფიერება. მაგალითად, ხრამჰესის კასკადში მომსახურების კოეფიციენტი (ე. ი. პოტენციური შესაძლებლობა) თითქმის ორჯერ მეტია, ვიდრე რიონის და ვარციხის კასკადებში, მაგრამ შრომის ნაყოფიერება შედარებით უმნიშვნელოდ მაღალია, ვიდრე აქ. მაშასადამე, საქართველოს სსრ ელექტროენერგეტიკის მთელ რიგ ელექტროსადგურებში დადგმულ სიმძლავრეთა გამოყენების დონე დაბალია.

შრომის ნაყოფიერების დინამიკის შესწავლა საქართველოს სსრ ელექტროენერგეტიკაში (ცხრილი 2) გვიჩვენებს, რომ შრომის მწარმოებლური ძალა განუხრელად მატულობს, ხოლო თვით შრომის ნაყოფიერება, როგორც ნატურალური, ისე ლირებულებითი ფორმით X და XI ხუთწლედებში იზრდება, ხოლო XII ხუთწლედში მცირდება.

ცხრილი 2

შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპები საქართველოს ელექტროენერგეტიკაში (1970-100)

	1975	1980	1985
ელექტროენერგიის გამომუშავების მიხედვით	147,1	186,2	182,8
მომსახურების კოეფიციენტი	149,1	229,1	241,8
ლირებულებითი ფორმით	134	176	167

ბოლო წლებში შრომის ნაყოფიერების მაჩვენებლის შემცირება გამოწვეულია სისტემაში მოძველებული მოწყობილობების არსებობით და არსებულ სიმძლავრეთა გამოყენების დაბალი დონით, რაც თავის მხრივ შედეგია დაუმათავრებელი მშენებლობის, მშენებლობის დაბალი ხარისხის და საექსპლუატაციო პირობების ხშირი დარღვევის.

პარტიის მიერ დასახული ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ დაჩქარების ამოცანის გადაჭრისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს წარმოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფას. მ. ს. გორბაჩოვი სკკპ XXVII ყრილობაზე აღნიშნავდა: „წინანდელ მატერიალურ-ტექნიკურ საფუძველზე კარდინალური ცვლილებების მიღწევა შეუძლებელია. გამოსავლად მიგვაჩნია სახალხო მეურნეობის ღრმა რეკონსტრუქცია მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ავანგარდული მიმართულებებით წინ გაჭრის, სამეურნეო მექანიზმის, მართვის სისტემის გარდაქმნის ბაზაზე“<sup>5</sup>.

<sup>5</sup> საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობის მასალები. „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1986, გვ. 37.



მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა განმსაზღვრელ გავლენას ახდენს წარმოებით ურთიერთობათა სრულყოფაზე, რადგანაც მატერიალურ-ტექნიკური ბაზა არის საწარმოო ძალების ნივთობრივი ელემენტების (უწინარეს ყოვლისა (შრომის საშუალებებისა და შრომის საგნების) ერთობლიობა, ხოლო საწარმოო ძალების ნივთობრივი ელემენტების სრულყოფა (უბირველესად შრომის იარაღების) წარმოადგენს წარმოებით ურთიერთობათა სრულყოფის, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების ობიექტურ საფუძველს. მაშასადამე რაც უფრო სრულყოფილია მატერიალურ-ტექნიკური ბაზა წარმოებისა, მით უფრო სრულყოფილია წარმოებით ურთიერთობათა სისტემა და პირიქით. ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ „ტექნიკის პროგრესი სწორედ იმაში გამოიხატება, რომ ადამიანური შრომა სულ უფრო და უფრო მეტად იხვევს უკანა რიგში მანქანათა შრომის წინაშე“. განვითარებული შრომა, მანქანის სახით, შესაძლებლობას იძლევა ცოცხალი შრომის შედარებით ნაკლები დანახარჯებით, სახმარი ღირებულების მეტი რაოდენობა შეიქმნას. სწორედ ამაში მდგომარეობს შრომის ნაყოფიერების გადიდება (რამდენადაც იგი დაკავშირებულია მანქანებთან), — მიუთითებდა კ. მარქსი, — იგივეა, რაც მუშების რაოდენობის შემცირება გამოყენებული მანქანების რიცხვთან და სიმძლავრესთან შედარებით“<sup>6</sup>, მაშასადამე შრომის ნაყოფიერება უპირველეს ყოვლისა განისაზღვრება მანქანათა რაოდენობით და მათი მწარმოებლობით. ამიტომ მანქანების, მათი მწარმოებლობის ანალიზი წარმოადგენს პირველ საფეხურს შრომის ნაყოფიერებასა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფას შრომის არსებული კავშირის შესასწავლად.

შრომის ნაყოფიერებაზე გავლენის მიხედვით შესაძლებელია განვიხილოთ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფის ორი ეტაპი: პირველი ეტაპი დაკავშირებულია ხელის შრომის მასობრივი გამოდევნით მანქანურისაგან. შრომის ნაყოფიერება ამ ეტაპზე ვლინდება უმთავრესად ცოცხალი შრომის ეკონომიაში. მეორე ეტაპზე უახლესი მიღწევების საფუძველზე ხორციელდება ძველი შრომის საშუალებებისა და საგნების შეცვლა ახლით. ეს ეტაპი განაპირობებს, როგორც ცოცხალი, ისე განვითარებული შრომის ეკონომიის პროდუქციის ერთეულზე გაანგარიშებით.

ელექტროენერგეტიკაში მომსახურე პერსონალის ზვედრი რიცხოვნობის შემცირება და მაშასადამე შრომის ნაყოფიერების შესაბამისი ზრდა მიიღწევა ენერგოაგრეგატთა ერთეული სიმძლავრის გამსხვილებით. საშტატო კოეფიციენტის დამოკიდებულება თბოელექტროსადგურთა სიმძლავრეზე და ცალკეულ ენერგოაგრეგატთა სიმძლავრეზე თვალნათლივ ჩანს მე-3 ცხრილის მონაცემებიდან.

თავდაპირველად საბჭოთა კავშირში გამოყენებული თბოტურბინების სიმძლავრე 12 ათას კვტ-ს უდრიდა, შემდეგ 25 და 50 ათას კვტ-ს, ხოლო ომის შედეგომ წლებში 100 და 150 ათას კვტ-ს, 1968 წელს ათვისებული იქნა 500 ათასი კვტ, ხოლო 1971 წელს 800 ათასი კვტ სიმძლავრის თბოტურბინები. აქამდე, ექსპლოატაციაში იმყოფება თბოტურბინა 1200 ათასი კვტ სიმძლავ-

6 ვ. ი. ლენინი, თხზ. გამოც. 4, ტ. 1, გვ. 87.

7 კ. მარქსი. ზედმეტი ღირებულების თეორიები კაპიტალი. ტ. IV, 1975, გვ. 433.

რით, ე. ი. იმაზე მეტი, რასაც ითვალისწინებდა „გოელროს“ გეგმა მთლიანად 15 წლის განმავლობაში.

ჰიდროტურბინათა მაქსიმალური სიმძლავრე სსრ კავშირში გამუდმებით იზრდება და დღეისათვის იგი 640 ათასი კვტ-ს ტოლია.

გამუდმებით იზრდება ასევე ელექტროსადგურთა მაქსიმალური სიმძლავრე. მაგალითად, საიანო-შუშენსკოეს ჰიდროელექტროსადგურის საერთო სიმძლავრე ტოლი იქნება 6,4 მილიონი კვტ-ისა, სადაც დადგმული იქნება თითოეული 640 ათასი კვტ. სიმძლავრის 10 აგრეგატი. XII ხუთწლედში დამთავრდება ბერიოზოვის სრეს მშენებლობა, რომლის თითოეული აგრეგატის სიმძლავრე იქნება 800 ათასი კვტ, ხოლო მთლიანი სიმძლავრე 6,4 მილიონი კვტ.

ცხრილი 3

სამრეწველო-საწარმოო პერსონალის ხვედრითი რიცხოვნობა თბოელექტროსადგურებში (მრიცხველი — მყარი სათბობის გამოყენებისას, მნიშვნელი — თხევადი და გაზობრივი)<sup>8</sup>

მოწყობილობათა შედგენილობა	პერსონალის ხვედრითი რიცხოვნობა, კაცი/მვტ			
	ს უ ლ	საქსპლუატაციო		სარემონტო
		ს უ ლ	ადმინისტრაციულ-მმართველური პერსონალის გარეშე	
კონდსაციური				
4×K—300	1,03/0,89	0,39/0,29	0,34/0,25	0,64/0,60
4×K—500	0,74	0,26	0,23	0,48
4×K—800	0,56/0,47	0,19/0,15	0,17/0,12	0,36/0,33
6×K—200	1,13/1,01	0,46/0,37	0,4/0,31	0,67/0,64
6×K—300	0,88/0,75	0,31/0,23	0,27/0,20	0,57/0,52
6×K—500	0,64	0,23	0,20	0,41
6×K—800	0,47/0,40	0,15/0,11	0,13/0,10	0,32/0,29
თ ე გ				
ΠT—60—130—2×— —100/120—130	1,96/1,59	0,92/0,73	0,83/0,64	1,04/0,86
4×T—175/210—130	1,30	0,62	0,52	0,68
4T×T—180/215—130	—/1,00	—/0,46	—/0,37	—/0,54
4×T—250/300—240	—/0,87	—/0,36	—/0,30	—/0,51

თანამედროვე ეტაპისათვის ელექტროენერგეტიკული მშენებლობისას და-მახასიათებელია 800, 1200 მვტ და უფრო მაღალი სიმძლავრის მაღალავტომატიზირებული ენერგობლოკების დანერგვა. ამასთანავე გაიზრდება ელექტროსადგურთა საერთო მაქსიმალური სიმძლავრე.

საქართველოს სსრ ელექტროენერგეტიკაში ადგილი აქვს, როგორც ცალკეულ ენერგოაგრეგატთა, ისე ელექტროსადგურთა ერთეული მაქსიმალური სიმძლავრის ზრდას (ცხრილი 4). მაგალითად, თბოტურბინათა ერთეული მაქსიმალური სიმძლავრე 1961-1970 წლებში გაიზარდა 3-ჯერ და მეტად, ჰიდროტურბინებისა 1961-1980 წლებში 6,6-ჯერ, ჰიდროელექტროსადგურთა ერთე-

<sup>8</sup> Прузнер С. Л., Экономика, организация и планирование энергетического производства, Энергоиздат, М., 1984, с. 122.

ული მაქსიმალური სიმძლავრე 1961-1980 წლებში 11,2-ჯერ, თბოელექტრო-სადგურებისა 1961-1975 წლებში 8,4-ჯერ.

ცხრილი 4

ელექტროტურბინათა და ელექტროსადგურთა ერთეული მაქსიმალური სიმძლავრე საქარ-თველოს სსრ ელექტროენერგეტიკაში 1967-1986 წწ. (ათას კვტ)

	1961	1970	1975	1980	1986
თბოტურბინები	38,6	56,5	73,3	260,0	260,0
ჰიდროტურბინები	50	160	160	160	160
ჯე ს	115,8	115,8	210	1300	1300
თე ს	149	930	1250	1250	1250

დღეისათვის თბოტურბინათა ერთეულმა მაქსიმალურმა სიმძლავრემ შე-ადგინა 160 ათასი კვტ, თბოტურბინისამ 260 ათასი კვტ, ჰიდროელექტროსად-გურისამ — 1300 ათასი კვტ, ხოლო თბოელექტროსადგურისამ — 1250 ათასი კვტ. ჰიდროელექტროსადგურების ასეთი ერთეული მაქსიმალური სიმძლავრე რესპუბლიკის მდინარეებისათვის და ჰიდროტექნიკის თანამედროვე დონეზე შესაძლებელია ზღვრულად ჩათვალოს. თბოტურბინათა სიმძლავრე კი, თბო-ტექნიკის არსებული დონიდან და რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ელექ-ტროენერგიაზე მოთხოვნილებიდან გამომდინარე, დაბალია. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ თბოელექტროსიმძლავრეთა ზრდას ადვილი არ ჰქონია 1970 წლიდან, ე. ი. მთელი 17 წლის განმავლობაში. თბოელექტრო სიმძლავრეები უფრო დიდია არა თუ კავშირში, არამედ ამიერკავკასიის მოკავშირე რესპუბ-ლიკებშიაც. მაგალითად, თბოტურბინათა ერთეული მაქსიმალური სიმძლავრე სომხეთში ტალია 200 ათასი, ხოლო აზერბაიჯანში 300 ათასი კვტ-ის.

ანალოგიურად დაბალია საქართველოს სსრ ელექტროენერგეტიკაში სა-ქებაზე დანადგართა მწარმოებლურობა და ენერჯის მუშაობის პარამეტრები (ორთქლის წნევა და ტემპერატურა).

შრომის ნაყოფიერების დამოკიდებულება ელექტროსადგურთა და ელექ-ტროტურბინათა სიმძლავრეზე საქართველოს სსრ ელექტროენერგეტიკაში ჩანს I ცხრილის მონაცემებიდან. როგორც ირკვევა, შედარებით უფრო ტექნიკურად სრულყოფილ თბილისის სახელმწიფო რაიონულ ელექტროსად-გურში შრომის ნაყოფიერება მომსახურების კოეფიციენტის მიხედვით 2,7-ჯერ, ხოლო ელექტროენერჯის გამომუშავების მიხედვით თითქმის 13-ჯერ მეტია, ვიდრე შედარებით დაბალი ტექნიკური დონის ტყვარჩელის სახელმწი-ფო რაიონულ ელექტროსადგურში. ანალოგიური მდგომარეობაა ჰიდროელექ-ტროსადგურებშიაც. ენგურის ჰიდროელექტროსადგურში, სადაც ერთეული მაქსიმალური სიმძლავრე გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე რესპუბლიკის სხვა ჰიდროელექტროსადგურებში, შრომის ნაყოფიერებაც უფრო მაღალია: 1,6-ჯერ უფრო მეტი, ვიდრე ხრამქსის, 3-ჯერ უფრო მეტი, ვიდრე რიონქსის კასკადში და 3,6-ჯერ უფრო მეტი, ვიდრე შაორი-ტყიბულქსის კასკადში, მომსახურების კოეფიციენტის მიხედვით. გამომუშავებული ელექტროენერ-ჯის მიხედვითაც იგივე მდგომარეობაა, მაგრამ, რადგანაც ენგურქსის მშე-ნებლობა ჭერჭერობით ბოლომდე დამთავრებული არ არის, ეს მაჩვენებელი დაბალია. დაბალი იყო ეს მაჩვენებელი 1986 წელს. იმიტომაც, რომ ენგურქე-სი დიდი ხნის განმავლობაში მთლიანად კაპიტალურ რემონტში იმყოფებოდა.

3. „მაინე“, ეკონომიკა და სავარჯიშო, 1990, № 3.



საქართველოს ენერგოსისტემაში მიმდინარეობს ელექტროგადამცემი ხაზების ძაბვის ამღლებაც. მაგრამ, შედარებით მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების ხვედრითი წილი მაინც დაბალი რჩება 1986 წელს 35 და მასზე ნაკლები კილოვოლტი ძაბვის მქონე ელექტროხაზების სიგრძემ 93,1% შეადგინა, ხოლო 110—500 კილოვოლტი ძაბვისამ მხოლოდ 6,9%. განსაკუთრებით დიდია საქართველოს სსრ ენერგოსისტემაში ძლიერ დაბალი ძაბვის (6 კილოვოლტი და ქვემოთ) ელექტროგადამცემი ხაზების ხვედრითი წილი (8,9%). მცირეა ასევე ლითონისა და რკინაბეტონების საყრდენებზე ელექტროგადამცემი ხაზების სიგრძე. ასეთი ხაზების სიგრძემ 1986 წელს, მხოლოდ 44,3% შეადგინა, რაც ზრდის ავარიულ შემთხვევათა რიცხვს. ელექტროქსელი განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაშია სოფელ ადგილებში. სოფელ ადგილებში ელექტროხაზების საერთო სიგრძე შეადგენს 83,4%, აქედან 6 კვ და მასზე დაბალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების სიგრძე შეადგენს 94,3%. დღეისათვის დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია სასოფლო ხაზების მხოლოდ 52,1%, ხოლო დანარჩენი საჭიროებენ სასწრაფო რეკონსტრუქციას— მოდერნიზაციას (29,2%), აღდგენას (5,8) ან უვარგისია (7,3%). ყოველივე ეს განაპირობებს ელექტროენერჯის დანაკარგების დიდი ხვედრითი წილის არსებობას საქართველოს სსრ ენერგოსისტემის ელექტროქსელებში, მიუხედავად იმისა, რომ ესამაჩვენებელი კლებულობს:

ცხრილი 5

ელექტროენერჯის დანაკარგების ხვედრითი წილი საქართველოს სსრ ელექტროენერგეტიკაში (%-ში)

1970 წ.	1975 წ.	1980 წ.	1985 წ.	1986 წ.
15,6	14,63	14,5	12,74	12,66

1986 წელს ელექტროქსელში ელექტროენერჯის დანაკარგებმა 2,2 მილიარდი კვტ სთ შეადგინა. ეს იმაზე მეტია, რაც გამოიმუშავებს რიონის, ხრამის და ვარციხის ჰეს კასკადებმა, მასში შემავალი 14 ელექტროსადგურით.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს საწარმოთა რეკონსტრუქციას, გადაიარაღებას და გაფართოებას. საქართველოს სსრ ელექტროენერგეტიკის დღევანდელი მდგომარეობა ასეთ სამუშაოთა ფართო მასშტაბებს მოითხოვს. ფართო ხასიათის სარეკონსტრუქციო სამუშაოები ჩატარდა ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონულ ელექტროსადგურში, 50 ათასი კვტ სიმძლავრის 4 ტურბოაგრეგატი შეიცვალა 110 ათასი კვტ სიმძლავრის 2 ტურბოაგრეგატი. რეკონსტრუქციის შემდეგ ამღლებდა სადგურის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები (მაგალითად სათბობის ხვედრი გასავალი 170 გრამით შემცირდა), მაგრამ სადგური დღეისათვის მაინც ცუდ მდგომარეობაში იმყოფება. მიზეზები შეიძლება სხვადასხვა დავასახელოთ: ქარხანა მომწოდებლის მიერ უზარისხო ენერგოდანადგარების მოწოდება, უზარისხო რემონტების ჩატარება საექსპლუატაციო პერსონალის დაბალი კვალიფიკაციური დონე და სხვ. მაგრამ, მთავარი მაინც ის არის, რომ აქ სათბობის სახით შემოდის ტყვარჩელის და ტყიბულის ქვანახშირი, რომელთაც სულ უფრო ცუდი ხარისხობრივი მაჩვენებლები აქვს. 30%-იან გოგირდიანობის დასაშვები მნიშვნელობისა და 4000 კკა/კვ თბომოქმედების

ნაცვლად მათი გოგირდიანობა შეადგენს 73% და თბომოქმედება კი მხოლოდ 2500 კკალ/კგ. ამასთან დაკავშირებით უარესდება მოწყობილობის მუშაობის რეჟიმი, მცირდება ეკონომიურობა მთლიანად სადგურში. აქ ელექტროენერჯის თვითღირებულება 3-ჯერ და მეტჯერ დიდია, ვიდრე სისტემაში საშუალოდ. მასასადამე მოთხოვნება ელექტროსადგურის გადაყვანა სათბობის ახალ სახეობაზე. ეს საკითხი ამჟამად გადაწყვეტილია და უახლოეს მომავალში მოხდება სადგურის გადაყვანა ბუნებრივ გაზზე.

არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა აგრეთვე სხვა თბოელექტროსადგურებში. ქუთაისის საავტომობილო, რუსთავის მეტალურგიული, ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი და აგარის შაქრის ქარხნების თბოელექტროსადგურებში მოწყობილობა თითქმის მთლიანად ამორტიზირებულია და როგორც ფიზიკურად, ისე მორალურად მოძველებულია. არაეკონომიური სადგურია აგრეთვე თბილისის თბოელექტროცენტრალი. მისი არსებობა გამართლებულია მხოლოდ იმიტომ, რომ არ არსებობს სხვა სიმძლავრეები, რათა დაკმაყოფილოს სახალხო მეურნეობის და მოსახლეობის მოთხოვნილება თბოენერჯიზე.

ბრამის — 1 ჰიდროელექტროსადგურში აგრეგატები მუშაობენ 1947-1948 წლიდან და ისინი ძლიერ გაცევა და რეკონსტრუქციას საჭიროებენ. რეკონსტრუქცია-გადაიარაღებას საჭიროებენ ძირითადი ენერგომოწყობილობაში ზემო ავჭალის, რიონის, გუმათის-1, შაორის, ტყიბულის, ჩითახევის, აჭარის ჰიდროელექტროსადგურებში. კიდევ უფრო ცუდი მდგომარეობაა მცირე სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურებში. 30-მდე მცირე სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგური აღდგენას ან რეკონსტრუქციას საჭიროებს.

გადაუღებელ აღდგენას ან რეკონსტრუქციას საჭიროებს საქართველოს ენერგოსისტემის ელექტროგადამცემი ხაზების დიდი რაოდენობა.

საქართველოს სსრ ელექტროენერგეტიკაში დიდი რაოდენობით მორალურად და ფიზიკურად მოძველებული მოწყობილობების არსებობაზე მეტყველებენ ძირითადი წარმოებრივი ფონდების განახლების და ლიკვიდაციის დონე და ენერგომოწყობილობათა ასაკობრივი სტრუქტურა, როგორც განახლების, ისე ლიკვიდაციის კოეფიციენტები საქართველოს სსრ ელექტროენერგეტიკაში გაცილებით მცირეა, ვიდრე მრეწველობაში მთლიანად (დაახლოებით 1,4-ჯერ და 2,7-ჯერ). დაბალია საქართველოს სსრ ელექტროენერგეტიკაში ასევე ძირითადი წარმოებრივი ფონდების განახლების ინტენსივობის დონე (ძველი ფონდების ახლით შეცვლის ხარისხი). განახლების ინტენსივობის კოეფიციენტი საქართველოს სსრ ელექტროენერგეტიკაში თითქმის 3-ჯერ ნაკლებია, ვიდრე მთლიანად მრეწველობაში.

საქართველოს სსრ ელექტროენერგეტიკაში მიმდინარეობს ელექტროსადგურთა და ენერგომოწყობილობათა როგორც რეკონსტრუქცია, ისე გადაიარაღება და ვაფართოება, მაგრამ ძლიერ მცირე მასშტაბებში. თუ მთლიანად სახალხო მეურნეობაში საწარმოო დანიშნულების ობიექტებზე გაწეულ კაპიტალდაზანდებათა მოცულობაში გადაიარაღების, რეკონსტრუქციის და ვაფართოების წილად მოდის დაახლოებით 25-29 პროცენტი, ელექტროენერგეტიკაში იგი მხოლოდ 8%-მდე მერყეობს. მომავალში გათვალისწინებულია მნიშვნელოვანი სამუშაოები რეკონსტრუქციის, გადაიარაღებისა და ვაფართოების მიმართულებით. ყველაზე მთავარ სამუშაოს ამ მიმართულებით ამჟამად წარმოადგენს თბილისის სრეს ვაფართოება, სადაც დაიდგმება 3 ახალი აგრე-

გატი თითოეული 300 ათასი კვტ სიმძლავრისა. ეს რაღა თქმა უნდა ახალი სიტყვა იქნება საქართველოს ელექტროენერგეტიკაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიმართულებით.

შრომის ნაყოფიერების ამაღლების საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება თვისებრივად ახალი სახეობის ტექნიკისა და ტექნოლოგიის ათვისებას. თანამედროვე პირობებში ელექტროენერგიის მისაღებად ენერჯის ახალ სახეობებს მიეკუთვნება: ატომური ენერჯია, ზღვათა და ოკეანეთა მიმოქცევის ენერჯია, მზის ენერჯია, ცხელი საბადოების ენერჯია, ზღვათა და ოკეანეთა სითბოს ენერჯია, ქარის ენერჯია. ამა თუ იმ ზომით ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ენერჯია მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, მათ შორის საბჭოთა კავშირშიც გამოიყენება. განსაკუთრებით, ცნობილი ფაქტია, რომ განვითარება მოიპოვა ატომურმა ელექტროენერგეტიკამ. დიდი საცდელ-სამეცნიერო სამუშაოები მიმდინარეობს მსოფლიოს ყველა მოწინავე სახელმწიფოში თერმობირთვული რეაქციის ასათვისებლად, რომელიც მთელ გადატრიალებას მოახდენს ელექტროენერჯის წარმოების საქმეში. იხვეწება აგრეთვე ელექტროენერჯის მიღების ტექნოლოგია. ელექტროენერჯის მიღების ხერხებს მიეკუთვნება: მაგნიტოჰიდროდინამიკური, თერმოელექტრონული, ქიმიური და სხვ. რომლებიც ჯერ-ჯერობით ათვისების პროცესშია და დიდ პერსპექტივებს უსახავს ელექტროენერგეტიკას. მათი ათვისება და გამოყენება მომავალში ელექტროენერგეტიკაში შრომის ნაყოფიერების ზრდის მთავარი საშუალებაა.

Р. Б. АБЕСАДЗЕ

## ВЛИЯНИЕ СОВЕРШЕНСТВОВАНИЯ МАТЕРИАЛЬНО-ТЕХНИЧЕСКОЙ БАЗЫ НА ПОВЫШЕНИЕ ПРОИЗВОДИТЕЛЬНОСТИ ТРУДА В ЭЛЕКТРОЭНЕРГЕТИКЕ ГРУЗИНСКОЙ ССР

Резюме

В решениях XXVII съезда КПСС, последующих пленумах ЦК КПСС, постановлениях партии и правительства большое значение придается повышению производительности труда.

В электроэнергетике, в основном, производится один вид продукции. Поэтому самыми приемлемыми здесь являются натуральные показатели. Их анализ показал сравнительно низкий уровень производительности труда в электроэнергетике Грузинской ССР, несмотря на то, что производительная сила труда здесь будто бы растет. Это вызвано тем, что существующая материально-техническая база отрасли характеризуется недостатками: низка единичная максимальная мощность теплоэнергоагрегатов и ТЭС; высока доля морально и физически устаревшего оборудования как на электростанциях, так и в электросетях; низок уровень автоматизации и механизации труда и производства в отрасли; неудовлетворительно качество капитальных и текущих ремонтов и т. д.

Для совершенствования материально-технической базы электроэнергетики Грузинской ССР необходим большой объем реконструктивных работ и строительство новых, более экономичных электроэнергетических мощностей.

ნაშრომი წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ეკონომიკური პრობლემების განყოფილებაში.

## ღალი მდინარე

### სამრეწველო მეხილეობა საქართველოში 20-იან წლებში

საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის გადაწყვეტილებით, 1923 წელს გორში მოწვეულ იქნა მეხილეთა ყრილობა, რომელმაც დასახა ამ დარგის განვითარების კონკრეტული ღონისძიებები. ამ ღონისძიებების პრაქტიკულად გატარების შედეგად ხეხილის ნარგავთა ფართობი 30.8 ათასი ჰექტარიდან (1921 წელი) გაიზარდა 31,2 ათას ჰა-მდე (1927 წელი)<sup>1</sup>.

ყრილობაზე დასახული ღონისძიებების განხორციელების მიუხედავად, ნარგავობის გაშენება და მოვლა, მოსახლეობის ხელმოკლეობისა და ნარგავობის გაშენება-მოვლის უცოდინარობის გამო მეტად დაბალ დონეზე იდგა, რის შესახებაც პროფ. გ. ბებქმანი წერდა: „ბაღების გაშენება მეტად პრიმიტიულად წარმოებდა, უფრო მეტად კი გლეხების მიერ. ეს გამოწვეულია მათი ხელმოკლეობისა და ტექნიკური ცოდნის უქონლობის გამო. ბაღის გაშენება ხშირად მხოლოდ ხის დარგვით და პირველ ხანებში ზერეულ მოვლით განისაზღვრება. შემდეგ კი ნარგავი ბაღის ანაბარად არის მიტოვებული, რის გამოც ხეხილი დაბალი ხარისხისა და ნაკლებ მოსავალს იძლევა“.

1928-30 წლებში სოფელ მეჯვრისხევში, მერთში, ტყვიავში გაშენდა პირველი მრეწველური ბაღები. კოლმეურნეობრივმა მშენებლობამ დღის წესრიგში დააყენა აგრეთვე მეურნეობის ნერგით მომარაგების საკითხი. სოფ. მერთისა და სკრის სანერგეები უკვე ველარ აკმაყოფილებდნენ ხეხილის ნერგზე გაზრდილ მოთხოვნილებას. ამ პერიოდში საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების და მოსახლეობის მოთხოვნილება ხეხილის ნერგზე იმდენად დიდი იყო, რომ მარტო სახელმწიფო სანერგეები მას ვერ აკმაყოფილებდა. ამასთან აღსანიშნავია, რომ სანერგეები ძირითადად მოეწყო ქართლის რაიონებში. ამიტომ აქედან ნერგი სხვა რაიონებში გადატანით ზიანდებოდა და ძვირბეჭდებოდა. ამ საკითხის მოსაგვარებლად გატარდა რიგი ღონისძიებები, კერძოდ: ხეხილის სანერგეები მოეწყო ახალციხეში, ცხინვალში, ბათუმში, სოხუმში და სხვ.

ქართველი ხალხის თაოსნობით და მთავრობის დახმარებით დიდი გაცანხი მიეცა მეხილეობის კოლექტიური მეურნეობების ჩამოყალიბება-განვითარებას. კოლექტიური მეურნეობების გვერდით გვხვდებოდა სხვა, შედარებით უფრო დაბალი ფორმის გაერთიანებანი. მათ შორის საყურადღებო იყო „ხელოვანთა ბაღის გაერთიანება“, რომელიც თბილისში ჩამოყალიბდა და მისი ფართობი 885 საექნს უდრიდა. ამასთან რესპუბლიკაში მოქმედებდა პირად საკარმიდამო ნაკვეთზე მოწყობილი პატარ-პატარა სანერგეები, რომლებიც დიდ სამსახურს უწევდნენ ადგილობრივ მოსახლეობას ბაღების გაშენ-

<sup>1</sup> Сельское хозяйство Грузинской ССР, стат. сб. часть I, Тб., 1967, с. 217.

<sup>2</sup> გ. ბებქმანი, მეხილეობა უმთავრეს მწარმოებელ ქვეყნებსა და ამიერკავკასიაში, ურ. „საქართველოს ეკონომისტი“, 1930, № 6, გვ. 13.

ბის საქმეში. მცირე ოდენობით, მაგრამ საქართველოს ამ მხარისათვის ფრიად საჭირო ნერგს იძლეოდა ქ. ბათუმის ბოტანიკური ბაღი, ათეულ ათას ნერგს იძლეოდნენ აგრეთვე ართვინის სახაზინო, სოხუმის საცდელი სადგური — „სინოზი“ და სხვა კერძო მეურნეობები<sup>3</sup>.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში საქართველოს სოფლის მეურნეობისათვის დამახასიათებელი იყო მიწების მნიშვნელოვნად დაწვრილბრთვება. ჩვენს რესპუბლიკაში დაახლოებით ითვლებოდა მიწის 2-2,5 მილიონი ნაკვეთი. თითოეულ კომლზე მოდიოდა დაახლოებით 6—7 ნაკვეთი, ხოლო თითოეული ნაკვეთი საშუალოდ 0,64 დესეტინას უდრიდა, იყო ისეთი მეურნეობებიც, რომელთა 2-3 დესეტ. ნათესი 80 ნაჭერ მიწაზე იყო გაფანტული<sup>4</sup>. ყოველივე ეს დიდად უშლიდა ხელს სამრეწველო დანიშნულების მებაღეობა-მევენახეობისა და საერთოდ სოფლის მეურნეობის განვითარებას. 1917 წლიდან სრულიად რუსეთის მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების II ყრილობაზე მიღებული იქნა დეკრეტი მიწის შესახებ, რომლითაც განისაზღვრა მემამულეთა მამულების ბაზაზე საჩვენებელი სანიმუშო მეურნეობების მოწყობა. საქართველოში, სხვა რესპუბლიკების მსგავსად, „სახალხო მამულები“ საბჭოთა მეურნეობების წინამორბედი ფორმა იყო. საბჭოთა მეურნეობები შეიქმნა ნაციონალიზებული მიწების ხარჯზე. საქართველოს მიწსახკომის განყოფილების სისტემაში შეიქმნა მეხილეობის 3 მამული: სკრის, მერეთის, გომბორის.

მეხილეობის საბჭოთა მეურნეობების განვითარებას ამ დარგის სპეციალიზაცია-ინტენსიფიკაციის საქმეში განსაკუთრებით დიდი ეკონომიკური მნიშვნელობა ენიჭებოდა სახალხო მამულების ტრესტს, რამდენადაც იგი იყო მაგალითის მიმცემი მოსახლეობისათვის ხილის ბაღების სწორი დამუშავებისა, რაც ამაღლებდა პროდუქციის არა მარტო მოსაველიანობას, არამედ ხარისხს. საილუსტრაციოდ შეიძლება საარქივო მასალებიდან მოვიტანოთ შემდეგი ამონაწერი. „ჩვენი ბაღები საშუალოდ 200 ფუტს იძლევიან 1 დესეტინაზე, ხოლო სახალხო მამულებში ჩვენ ვხედავთ, რომ 1 დესეტინა ბაღის ფართობზე საშუალო წლიური მოსავალი 484,4 ფუტს შეადგენს, რით არის ეს გამოწვეული? მხოლოდ და მხოლოდ ზუსტი და სწორი გამოყენებით ყველა იმ შესაძლებლობისა, რაც ადამიანის განკარგულებაშია. არ არის გასაკვირი, რომ ეს ყველაფერი თავისებურ გავლენას ახდენს გლეხზე და ის ცდილობს, რომ თავის მამულში გამოიყენოს გაუმჯობესებული მეთოდი ხეხილის მოვლისა და დამუშავების. გლეხმა არ იცის ხილის კრფის წესები, არ იცის მოკრეფილი ხილის მოვლა, არ შეუძლია მისი დანახარისხება და ამ სახით ბაზარზე გატანა, ამიტომ იღუპება და იკარგება მოსავლის საკმაოდ დიდი ნაწილი, ზოგჯერ 50%-იც. სახალხო მამულებს ჰყავს კვალიფიცირებული შტატი, კვალიფიცირებული მუშა ხელი და ამიტომ ეს დანაკარგი მათთვის შედარებით უცხოა, აქვე კვითხულბობ, რომ თითოეული სახალხო მამული ცვლის ერთ საცდელ-საჩვენებელ სადგურს, რამდენადაც ამ პერიოდში არ არსებობდა არცერთი საცდელ-საჩვენებელი სადგური“<sup>5</sup>.

<sup>3</sup> დ. თოფურიძე საქართველოს ეკონომიკის საფუძვლები, თბ. 1927 წ. გვ. 112.

<sup>4</sup> საქ. კ. (ბ) VI ყრილობის სტენოგრაფიული ანგარიშებიდან, 1929 წ. ცხ. აგრეთვე, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1921—1961 წწ. თბილისი გვ. 259.

<sup>5</sup> საქართველოს სსრ ორსმცა, ფონდი 288, ან 1, საქმე 2012, ფ. 58.



ცხრილი 1.  
ქუჩის ბაღის მთლიანი მოსავალი და მოსავლიანობა მეხილეობის სახეობ მამულებში  
1920-1925 წწ.

მეხილეობის სახეობი მამულები	რაოდენობა ჰექტარებში	ველე და- ველი ხის რაოდენობა	მთლიანი მოსავალი							საშუალო მოსავლიანობა			
			1920	1921	1922	1923	1924	1925	სულ 5 წელი	1 ჰა-ზე	1 ძირ ზეზე	სულ	1 ძირ ზეზე
1. სერა	16,4	4 885	8000	3000	7000	4000	9000	2000	33000	480,7	1,35	—	—
2. ვომბორი	40,4	7 400	—	—	60000	150	50000	200	110350	651,67	2,98	484,40	3,06
3. შერეთი	30,0	2 365	7000	15000	800	16000	3500	15000	57300	455,28	4,84	—	—
ს უ ლ	86,8	14 650	15000	18000	67800	20150	62500	17200	200650	—	—	484,40	3,06

\* საქართველოს სსრ ორგანისა, ფონდი 288, ან. 1, საქმე 2012, ფ. 51.

აქვე საინტერესოა გავეცნოთ იმ ციფრებს, რომლებიც გვიჩვენებენ სახალხო მამულების ტრესტის მონაწილეობას ხილის პროდუქციის რეალიზაციაში. 1925 წელს ტრესტის მიერ დამზადებული ხილის რაოდენობა შეადგენს 20 725 ფუტს, თვითღირებულება მანეთებში — 12, 425, შესაბამისად: 1926—35 172, თვითღირებულება — 35 172, 1927—7013, თვითღირებულება — 20828, 61<sup>6</sup>.

აღნიშნულ ტრესტში შემავალი სკრის, მერეთისა და გომბორის მეხილეობის სახალხო მამულების საქმიანობას ახასიათებს ცხრილი 1.

როგორც მოტანილი მაჩვენებლებიდან ჩანს, ამ მეურნეობების 1 დესეტინა ხეხილის ბაღის მოსავლიანობა 484,40 ფუტს შეადგენს. დასახელებული მეურნეობებიდან მაღალი მოსავლიანობით გამოირჩევა გომბორის სახალხო მამული, სადაც შესაბამისი მაჩვენებელი 596,49 ფუტს შეადგენს, რაც შეეხება ხეხილის მოსავლიანობას 1 ძირ ნარგავზე გაანგარიშებით, აქ მაღალი მაჩვენებლით მერეთის სახალხო მამული გამოირჩევა. აღნიშნულ მეურნეობებში ხეხილის მოსავლიანობის დონეთა შორის განსხვავებას განაპირობებს როგორც ადგილობრივი ბუნებრივი პირობები, ისე ამ მეურნეობებში გავრცელებული ბენილის ჯიშები, მაგალითად სკრის მეურნეობაში 1 ძირი ხეხილის დაბალი მოსავლიანობა განპირობებულია იმ მიზეზით, რომ მეურნეობის ნარგავები არ ირწყვის, ამასთან ერთად საშუალო წლიური ნალექი 475 მმ-ს არ აღემატება. გარდა ამისა ამ სახალხო მამულში ძირითადად გაშენებულია კურკოვანი ჯიშები, უპირატესად კი ატამი და გარგარი, ეს კულტურები ყოველწლიურად მოითხოვენ სწორი აგროტექნიკური ღონისძიებების გატარებას, ამავე დროს ხშირად ითხოვენ ნარგავების ამორტიზაციას — ძველი ჯიშების ახალი ჯიშებით შეცვლას.

1925 წლის ოქტომბერში საქართველოში დაარსდა საორგანიზაციო ბიურო — „ბალბოსტანკავშირი“, რომლის ერთ-ერთ მიზანს მეხილეობა-მეზოსტენობის პროდუქციის შესყიდვა და ამ დარგიდან კერძო მოვაჭრეთა განდევნა შეადგენდა, რადგან ისინი ჯერ კიდევ მოსავლის აღებამდე ბაღების ხილს წინასწარ ძალიან დაბალ ფასებში, მუქთად ყიდულობდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ „ბალბოსტანკავშირის“ დაარსების მომენტში იმ წლის ხილის დამზადება ძირითადად უკვე დამთავრებული იყო, ახლადჩამოყალიბებულმა კავშირმა მარტო გორის მაზრაში 165 ათასი ყუთი სხვადასხვა ხილული დაამზადა, მარტო 1926 წელს „ბალბოსტანკავშირის“ მიერ დამზადებული იქნა 44085 ათასი ფუთი ნედლი და 1600 ფუთი ხმელი ხილი<sup>8</sup>.

ხილის პროდუქციის არახელსაყრელი რეალიზაცია ბევრ შემთხვევაში მცირე მოგებას, ზოგჯერ ზარალს იძლეოდა. გორის მაზრა ბაზარს ყოველწლიურად მილიონ ხუთასი ათას ფუთ მაღალხარისხოვან ხილს აწვდიდა, ამ მაზრაში დიდი ოდენობით იწარმოებოდა როგორც ადგილობრივი, ისე უცხოური ჯიშის ხილი. ადგილობრივი ჯიშის ხილი ფუთი საშუალოდ იყიდებოდა 1,50 კაპ. — 2,40 კაპ, ევროპული ჯიშის კი — 3-7 მან. მარტო ამ მაზრის ხილის ფულადი ამონაგები სულ ცოტა 3-4 მლნ. მან. შეადგენდა. გორის მაზრაში დესეტინა ხილის ბაღი საშუალოდ იძლეოდა 2 ათას მანეთს<sup>9</sup>.

<sup>7</sup> იქვე, გვ. 60.

<sup>8</sup> საქართველოს სსრ ორსმესა, ფონდი 382, ან. 1, საქმე 3, ფურ. 12.

<sup>9</sup> დ. თ. ფ. რ. ი. ძე, საქართველოს ეკონომიკის საფუძვლები, თბ, 1927, გვ. 107.

საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქტების და საექსპორტო დანიშნულების ხილეულის წარმოებისათვის თანდათანობით ფართო პერსპექტივები იხსებოდა.

საექსპორტო ხილის წარმოების გადიდებაზე მეტყველებს ის, რომ „ბალზოსტანკავშირის“ მიერ ერთი წლის განმავლობაში დამზადებული პროდუქციის 48% გაიგზავნა მოსკოვში, 38% — ბაქოში, ხოლო თბილისში — 30%. რაც შეეხება ამიერკავკასიის ცალკეული რესპუბლიკების ხილის საერთო წარმოების დონეს, ის უკვე აღემატებოდა ომისწინა პერიოდს და მისმა მატებამ შეადგინა 2,6%, ხოლო ფართობი გაიზარდა 1,9%, ამასთან ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის საქართველოს სსრ რამდენადმე უსწრებდა აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკებს ერთად აღებულს<sup>10</sup>.

20-იან წლებში გატარებულმა ღონისძიებებმა, ხილის პროდუქციის დამზადება-რეალიზაციის მიმართულებით, მნიშვნელოვნად გაზარდა მოთხოვნილება ქართულ ხილზე, რის გამოც 1927-1928 წლებში მისგან მიღებულმა ფულადმა შემოსევალმა გარე ბაზრებიდან შეადგინა 2844,1 ათასი მანეთი<sup>11</sup>.

საშინაო და საგარეო ბაზრებზე ხილის მოთხოვნილებათა განუხრელმა ზრდამ დიდად შეუწყო ხელი მეხილეობის შემდგომ განვითარებას ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის იმ ადგილებში, სადაც აქამდე მას უმნიშვნელო ყურადღება ექცეოდა.

საქართველოს მეხილეობის რაიონებში ჩამოყალიბებული ამხანაგობები ინტენსიურად აწარმოებდნენ ცოცხალი და ხმელი ხილის დამზადება-შესყიდვას და მისი მნიშვნელოვანი ნაწილი რესპუბლიკის გარეთ გაჰქონდათ. თუ პირველ ხანებში საერთოდ საქართველოდან უმთავრესად კაკლოვანი და გამაზმარი ხილის პროდუქტია გადიოდა, ახლა უკვე სატრანსპორტო საშუალებათა გაუმჯობესების შედეგად რესპუბლიკებს შორის მჭიდრო ურთიერთეკონომიკური კავშირების განმტკიცებამ შესაძლებელი გახადა ყოველგვარი ხილის გატანა.

საქართველოს ხილით კარგად მარაგდებოდა რუსეთისა და ამიერკავკასიის მსხვილი ქალაქები (მოსკოვი, ხარკოვი, ოდესა, ლენინგრადი, როსტოვი, პენზა, ეკატერინოსლავი, ბაქო, ერევანი და სხვ). მაგ. 1927 წელს საქართველოდან მარტო ოქტომბრის თვის მონაცემებით რუსეთის სხვადასხვა ქალაქში გაგზავნილ იქნა რკინიგზით 22 ვაგონი ახალი ხილი, ხოლო მომდევნო თვეში 55 ვაგონი<sup>12</sup>.

საშინაო და საგარეო ბაზრებზე ხილის მოთხოვნილებათა განუხრელმა ზრდამ დიდად შეუწყო ხელი მეხილეობის შემდგომ განვითარებას ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის იმ ადგილებში, სადაც აქამდე მას უმნიშვნელო ყურადღება ექცეოდა, გაიზარდა მოთხოვნილება ქართულ ხილზე, რის გამოც 1927-1928 წწ. მისგან მიღებულმა ფულადმა შემოსევალმა გარე ბაზრებიდან შეადგინა 2844,1 ათასი მანეთი, ხოლო 1930-1932 წწ. იგი გაიზარდა 5987,6 ათას მანეთამდე<sup>13</sup>.

1927—1928 წწ. გეგმით მეხილეობის შემდგომი განვითარებისათვის სახელმწიფოს მიერ გაღებულ იქნა მოკლევადიანი კრედიტი 561 956 მანეთის

<sup>10</sup> მლისტვა, ფ. 14, ანაწ. 1, საქ. 3095, ფურ. 8.

<sup>11</sup> საქართველოს სსრ ორსმცსა, ფ. 382, ანაწ. 1, საქ. 1, ფურ. 12.

<sup>12</sup> საქართველოს სსრ ორსმცსა, ფ. 337, ანაწ. 2, საქ. 11, ფურ. 10.

<sup>13</sup> საქართველოს სსრ ორსმცსა, ფ. 377, ანაწ. 2, საქმე 303, ფურ. 21.

ოდენობით. აქედან მარტო მერეთის მეხილეობის სახალხო მამულს გამოეყო 10 000 მან, ამდენივე ციხისძირის მეხილეობის საცდელ-სამეურნეო ნაკვეთს, ხოლო სოფ. ტყვიავში ხილის საწყობებისა და საშრობი ქარხნის მშენებლობისათვის 33 750 ათასი მან, ამავე დანიშნულებისათვის ახალციხეს მიეცა 30 ათასი მანეთი, ხოლო ხილის სახმობის მშენებლობისათვის 1 მლნ 85 ათასი მან<sup>14</sup>. მთელი ყურადღება მიეპყრო საქონლური ხილის მოყვანა-დამზადების ორგანიზაციული საკითხების სწორად და დროულად გადაჭრას. დღის წესრიგში დადგა ხილეულისა და მისი პროდუქციის გადაუდებელი მარაგის შენახვა წლის ყოველ პერიოდისათვის. ამ მიზნით რესპუბლიკის მრეწველური მეხილეობის ძირითად ცენტრებში, მაგ, ცხინვალში, ახალციხეში, ტყვიავში, შინაღისში და სხვ. იწყება ხილის გამოსაზამთრებელი და შესაფუთი სარდაფების, ქარხნების, პროდუქციის მიღება-გასაღების საჭიროებისათვის მცირე გამტარობის ტიპის დამამზადებელი ქარხნების, სამხერხაოებისა და მასთან დაკავშირებულ დამხმარე ნაგებობათა ინტენსიური მშენებლობა. ის ხარვეზები, რომელიც აბრკოლებდა ხილის პროდუქციის წარმოების მიმართულებით არსებული რეზერვების ათვისებას და ამდენად მისი მნიშვნელოვანი ნაწილი სათანადო ეკონომიკურ შედეგს არ იძლეოდა და ხელს უშლიდა ისეთი შესანიშნავი მრეწველური ჯიშების შემდგომ განვითარებას, როგორც იყო მაგ, ვაშლი: თურაშაული, სირმა, კიტრა, კეხურა, ლავოდების რენეტი, სინაპი, ჩხრიალა და სხვ. ხოლო შემოტანილი ჯიშებიდან: კანდილ სინაპი, ორლენური რენეტი, შაფრანი, თეთრი კალვილი, ოქროს პარმენი, თეთრი როზმარინი, წიაყილი როზმარინი, შამპანური რენეტი, მსხლის ადგილობრივი ჯიშები: გულაბი, თეთრი მსხალი, ხეჭეჭური, შავი მსხალი, თაფლა მსხალი, ვოხა, კაცისთავა, წითელა, ბობბალა და სხვ. შემოტანილი ჯიშებიდან: ბერი ალექსანდრე, ვილიანსი, სენ-ჟენ-მენი, კიურე, რომელთაც ადგილობრივ პირობებთან კარგად შეგუების წყალობით დასავლეთეევროპული ხილისათვის დიდი კონკურენციის გაწევა შეეძლო.

სამამულო ხილის მსოფლიო ბაზარზე გასატანად საჭირო იყო უზადო პროდუქციის წარმოება და მალალხარისხობრივი ტრანსპორტირება. პრაქტიკა გვიჩვენებდა, რომ ჩვენს რესპუბლიკაში განსაკუთრებული ადგილი უნდა დაეკავებინა საექსპორტო ხილის წარმოებას, რომელსაც შეეძლო იგი გაეხადა სოფლის მეურნეობის შემოსავლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წყაროდ.

#### Д. Л. ШЕНГЕЛИЯ

### ПРОМЫШЛЕННОЕ ПЛОДОВОДСТВО ГРУЗИИ В 20-е ГОДЫ

#### Резюме

В статье проанализированы закономерности перехода плодоводства на промышленную стадию своего развития в 20-х годах нашего столетия в Грузии.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის სოციალისტური ეკონომიკის გამოცდილების განზოგადებისა და ქართული ეკონომიკური აზრის ისტორიის განყოფილებამ.

<sup>14</sup> მლისსპვა, ფ. 14, ანაწ. 1, საქ. 1982, ფურ. 9.

თამაზ თურმანიძე, ალექსანდრე ჩიქოვანი

## საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების დონის ზოგიერთი საკითხი

ეკონომიკური დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს სსრ ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის ცხოვრების დონის შესახებ რეალური სურათის შექმნას, რაც ნათელ წარმოდგენას მოგვცემს იმის შესახებ თუ ცხოვრების დონის რა რეალურ სიტუაციაში ვიწყებთ ეკონომიკური დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას. ამ მხრივ ყურადსაღებია იმის ცოდნა, თუ ცხოვრების დონის ამსახველი რიგი პარამეტრების მიხედვით რა დონეზე ვიმყოფებით მოკავშირე რესპუბლიკებს შორის.

ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის ცხოვრების დონის გამოთანაბრების პრობლემა სპეციალურ შესწავლას მოითხოვს. ეს პრობლემა მრავალ ასპექტს, მოიცავს, რომელთა შორის გვინდა გამოვყოთ ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის ფულადი შემოსავლების, მუშა-მოსამსახურეთა და კოლმეურნეთა სახალხო მოხმარების საგნებით უზრუნველყოფის, ქალაქისა და სოფლის საცალო საქონელბრუნვის, ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის ფულადი დანახოვების და რიგი სხვა პარამეტრების ეკონომიკური ანალიზი შედარების მეტოდის გამოყენებით.

სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვამ (საზოგადოებრივ კვების ჩათვლით) მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით 1987 წელს შეადგინა 1067 მანეთი 1980 წლის 856 მანეთის სანაცვლოდ. ამრიგად საშუალო საკავშირო მაჩვენებელს გავუსწარიტ 61 მანეთით, მაგრამ მიუხედავად ამისა 1987 წელს მერვე ადგილზე აღმოვჩნდით მოკავშირე რესპუბლიკებს შორის. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ 1980-1987 წლებში ვერც ერთ წელს ვერ აღმოვჩნდით ერთ სულ მოსახლეზე საქონელბრუნვის მაჩვენებლით ხუთეულში მაინც მოკავშირე რესპუბლიკებს შორის. კერძოდ, 1980 წელს ვიყავით მეცხრე ადგილზე, 1985 წელს მეშვიდე ადგილზე, 1987 წელს კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მერვე ადგილზე.

ჩვენი აზრით, ინტერესს მოკლებული არაა ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით რესპუბლიკის სასურსათო და არასასურსათო საქონელბრუნვის ეკონომიკური ანალიზი. საქართველოს სსრ ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით სასურსათო საქონლის საქონელბრუნვა 1980 წლის 378 მანეთიდან გაიზარდა 1987 წლის 421 მანეთამდე, ანუ 11%-ით, მაგრამ მაინც მნიშვნელოვნად ჩამოვრჩებით საშუალო საკავშირო დონეს. კერძოდ, თუ 1980 წელს ერთ სულ მოსახლეზე სასურსათო საქონელბრუნვით საშუალო საკავშირო მაჩვენებელს ჩამოვრჩებოდით 139 მანეთით, 1987 წელს ჩამორჩენა გაიზარდა 155 მანეთამდე. შესაბამისად, მოკავშირე რესპუბლიკებს შორის ერთ სულ მო-

სახელზე სასურსათო საქონელბრუნვის მაჩვენებლით 1980 წელს ვიყავით მეცხრე ადგილზე, 1987 წელს კი გადავინაცვლეთ მეათე ადგილზე.

რამდენადმე უკეთეს სურათს იძლევა რესპუბლიკის ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით არასასურსათო საქონლის საქონელბრუნვის ეკონომიკური ანალიზი. ასე მაგალითად, ერთ სულ მოსახლეზე არასასურსათო საქონლის საქონელბრუნვა 1980 წლის 478 მანეთიდან გაიზარდა 1987 წლის 646 მანეთამდე. თუ ამ მაჩვენებლით საშუალო საკავშირო მაჩვენებელს 1980 წელს ჩამოვრჩებოდით 24 მანეთით, 1987 წელს უკვე გადავაჭარბეთ 16 მანეთით, მაგრამ მოკავშირე რესპუბლიკებს შორის მხოლოდ 1 ადგილით გადავინაცვლეთ წინ (1980 წლის მერვე ადგილიდან 1987 წლის მეშვიდე ადგილზე).

საქართველოს სსრ ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის საქონლით უზრუნველყოფის რეალური სურათის შესაქმნელად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფო და კოოპერატიული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვას, მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით, ეკონომიკურ ანალიზს ქალაქებში და სოფლებში. საქონელბრუნვა მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით საქართველოს სსრ ქალაქებში 1980 წლის 1336 მანეთიდან გაიზარდა 1987 წლის 1582 მანეთამდე. ამ მაჩვენებლით საშუალო საკავშირო მაჩვენებელს ვუსწრებდით 1980 წელს 53 მანეთით, ხოლო 1987 წელს 100 მანეთით, მაგრამ მიუხედავად ამისა სტაბილურად ვინარჩუნებდით მეექვსე ადგილს მოკავშირე რესპუბლიკებს შორის.

საქონელბრუნვა მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით საქართველოს სსრ სოფელ ადგილებში 1980 წლის 330 მანეთიდან გაიზარდა 1987 წლის 442 მანეთამდე, ანუ 34%-ით. ამ მაჩვენებლით საშუალო საკავშირო დონეს 1980 წელს ჩამოვრჩებოდით 238 მანეთით, 1987 წელს კი 224 მანეთით. მოკავშირე რესპუბლიკებს შორის შესაბამისად ვიკავებდით მეცამეტე და მეთორმეტე ადგილს.

როგორც ეკონომიკური ანალიზი გვიჩვენებს, 1980-1987 წლებში საქართველოს სსრ ქალაქის დასახლებებში მოსახლეობის საქონლით უზრუნველყოფის დონე გაცილებით უკეთესია, ვიდრე სოფელ ადგილებში. ამის ნათელი დადასტურებაა თუნდაც ის ფაქტი, რომ 1987 წელს საქონელბრუნვა მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით საქართველოს სსრ ქალაქის დასახლებებში 2, 4-ჯერ მეტი იყო, ვიდრე სოფელ ადგილებში. სურათი რომ უფრო ნათელი იყოს, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით სასურსათო საქონლისა და არასასურსათო საქონლის საქონელბრუნვის ეკონომიკური ანალიზი ქალაქის დასახლებებში და სოფელ ადგილებში.

სასურსათო საქონლის საქონელბრუნვამ მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით ქალაქის დასახლებებში 1987 წელს შეადგინა 715 მანეთი, რაც 1980 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს აღემატებოდა 68 მანეთით. ამ მაჩვენებლით საშუალო საკავშირო მაჩვენებელს 1987 წელს ჩამოვრჩებოდით 97 მანეთით, მოკავშირე რესპუბლიკებს შორის კი დავიკავეთ მერვე ადგილი. ამ მაჩვენებლით სტაბილურად ვიმყოფებით მეშვიდე-მერვე ადგილზე.

კიდევ უფრო ცუდი მდგომარეობაა ერთ სულ მოსახლეზე სასურსათო საქონელბრუნვის მაჩვენებლით რესპუბლიკის სოფელ ადგილებში. ეს მაჩვენებელი 1987 წელს შეადგენდა 309 მანეთს და 1980 წელთან შედარებით მე-

ტი იყო 14 მანეთით. ერთ სულ მოსახლეზე სასურსათო საქონლის საქონელბრუნვით მნიშვნელოვნად ჩამოვრჩით (1987 წელს 127 მანეთით) საშუალო საკავშირო მაჩვენებელს და მოკავშირე რესპუბლიკებს შორის სტაბილურად ვიკავებთ მეცამეტე ადგილს.

არასასურსათო საქონლის საქონელბრუნვა მოსახლეობის ერთ სულზე განგარიშებით 1980 წლის 745 მანეთიდან გაიზარდა 1987 წლის 964 მანეთამდე, ანუ 219 მანეთით. ამ მაჩვენებლით საშუალო საკავშირო დონეს ვაჭარბებდით, შესაბამისად 109 და 197 მანეთით. მოკავშირე რესპუბლიკებს შორის კი ვიკავებდით სტაბილურად მეხუთე ადგილს.

გაცილებით უარესი იყო არასასურსათო საქონლით საქართველოს სსრ სოფლის მოსახლეობის უზრუნველყოფის დონე. ასე მაგალითად, არასასურსათო საქონლის საქონელბრუნვამ მოსახლეობის ერთ სულზე განგარიშებით საქართველოს სსრ სოფელ ადგილებში 1987 წელს შეადგინა 260 მანეთი და 1980 წელთან შედარებით გაიზარდა 75 მანეთით. ამ მაჩვენებლით მნიშვნელოვნად ჩამოვრჩებით საშუალო საკავშირო მაჩვენებელს. კერძოდ, 1980 წელს ჩამორჩენა შეადგენდა 88 მანეთს, 1985 წელს 110 მანეთს, ხოლო 1987 წელს—97 მანეთს. მოკავშირე რესპუბლიკებს შორის ამ მაჩვენებლით სტაბილურად ვიმყოფებით მეთერთმეტე-მეთორმეტე ადგილზე.

ფრიად თვალშისაცემია მოსახლეობის ერთ სულზე განგარიშებით არასასურსათო საქონლის საქონელბრუნვის ჩამორჩენა სოფელ ადგილებში ქალაქის დასახლებებთან შედარებით. კერძოდ, 1980 წელს ეს მაჩვენებელი ქალაქის დასახლებებში 4,1-ჯერ მეტი იყო სოფელ ადგილებთან შედარებით, 1987 წელს კი 3,7-ჯერ.

1985 წლის სოციოლოგიურმა გამოკვლევამ, რომელიც ჩატარა ვნიბკის საქართველოს ფილიალმა, გვიჩვენა, რომ ცეკავშირის მომსახურე ზონის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ხშირად მიემგზავრება ქალაქ ადგილებში არასასურსათო საქონლის შესაძენად. დაკვირვების ობიექტად და ანკეტური გამოკითხვის ჩასატარებლად შერჩეულ იქნა რესპუბლიკის 8 ეკონომიკური ზონა, მათ შორის ორი ავტონომიური რესპუბლიკა და ავტონომიური ოლქი. აღმოსავლეთი რაიონიდან გამოკვლევა ჩატარდა სიღნაღის რაიონულ სამომხმარებლო კავშირში, აღმოსავლეთ ცენტრალური რაიონიდან — გარდაბნის რაიონულ სამომხმარებლო კავშირში, დასავლეთ — ცენტრალური რაიონიდან — ჭიათურის რაიონულ სამომხმარებლო კავშირში, დასავლეთის რაიონიდან — ცაგერის რაიონულ სამომხმარებლო კავშირში, სამხრეთის რაიონიდან — ბორჯომის რაიონულ სამომხმარებლო კავშირში, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში — ჭობულეთის რაიონულ სამომხმარებლო კავშირში, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში — ორჯონიკიძის რაიონულ სამომხმარებლო კავშირში. თითოეულ რეგიონში გამოკითხულ იქნა 40 მოქალაქე და 10 ვაჭრობის სპეციალისტი.

გამოკითხულ ოჯახებში მოქალაქეთა რაოდენობამ შეადგინა 1440 კაცი, მათ შორის შემოსავალი ჰქონდა (პენსიებისა და სტიპენდიების ჩათვლით) 553 მოქალაქეს, ანუ 45,3%-ს.

ოჯახებში მომუშავეთა ხვედრითმა წილმა შეადგინა 30%.

გამოკითხული ოჯახების ხვედრითმა წილმა, რომელთა წევრებიც მუშაობენ სოფლად, შეადგინა 70%.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების რეალიზაციიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 420,5 ათასი მანეთი და მერყეობს რესპუბლიკის რაიონების მიხედვით აფხაზეთში მეტია ციტრუსების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების ხვედრითი წილი, კახეთში — ყურძნის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების ხვედრითი წილი და ა. შ.

საქართველოს სსრ სამომხმარებლო კოოპერაციის მომსახურე ზონაში ოჯახების გამოკითხვამ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით შესაძლებლობა მოგვცა დაგვედგინა, რომ გამოკვლეული მოსახლეობა ხარჯავს ქალაქად და რაიონულ ცენტრებში თავისი მსყიდველობითი ფონდების დაახლოებით 35% -ს.

გამგზავრების ობიექტში მათი საცხოვრებელი ადგილის სიშორისაგან დამოკიდებულებით, საშუალოდ ერთ შესყიდვაზე იხარჯება მოსახლეობის პირადი დროის 6 საათი.

ანკეტური გამოკითხვის შედეგები შესაძლებლობას გვაძლევს გავაყვოთ შემდეგი დასკვნა: საქართველოს სსრ სოფლის ოჯახების დაახლოებით 83% მიემგზავრება ქალაქად სხვადასხვა მიზეზით, მათ შორის 65%-ზე მეტი სპეციალურად საქონლის შესაძენად. ქალაქში შესყიდვებზე სპეციალურად გამგზავრებაზე წლიურად საშუალოდ ერთ ოჯახზე იხარჯება 238 საათი, რაც სოფლის მთლიან მოსახლეობაზე გადაანგარიშებით შეადგენს დაახლოებით 163 268 ათას საათს.

სოფლის მოსახლეობა ქალაქად მიემგზავრება ძირითადად კვების პროდუქტების შესაძენად. არასასურსათო საქონლიდან კი ძირითადად იძენს ტანსაცმელსა და თეთრეულს — 25,3%, ფეხსაცმელს — 10,7%, ტრიკოტაჟის ნაწარმს 13,0%.

როგორც გამოკვლევამ ვკიჩვენა, სოფლის მოსახლეობის მიერ ქალაქად საქონლის შესყიდვის ძირითადი მიზეზებია:

მომსახურე მალაზიებში არ იყო საჭირო საქონელი — 20,9%;

ქალაქის მალაზიებში გაცილებით ფართო ასორტიმენტის საქონლის არსებობა სოფლის მალაზიებთან შედარებით — 18,6%.

საცხოვრებელი ადგილის მიხედვით შესაძენი საქონლის დაბალი ხარისხი — 16,2%;

გამგზავრება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სარეალიზაციოდ — 7,0%, საჩუქრები ქალაქიდან — 9,3%;

ქალაქში მაცხოვრებელი ნათესავების მიერ საქონლის შესყიდვა — 11,0% და ა. შ.

შესაბამისად, როგორც გამოკვლევამ დაადასტურა, სოფლის მოსახლეობის სოციალურ ჯგუფებს შორის ქალაქად საქონელს უფრო ხშირად ყიდულობენ მრეწველობის მუშები და მოსამსახურეები, შედარებით იშვიათად კი, ვიდრე მთელი სოფლის მოსახლეობა, პენსიონერთა ოჯახები.

სოფლის მოსახლეობის გარდა, გამოკითხულ იქნენ ვაჭრობის სპეციალისტები — მალაზიებისა და სექციების გამგეები.

გამოკვლევა ჩატარდა 80 მალაზიაში (10 მალაზია თვითოეულ გამოსაკვლევ რაიონში), მათ შორის 8 უნივერსიტეტში, 43 ყოველდღიური მოთხოვნის მალაზიაში, 12 არასასურსათო საქონლის მალაზიაში და 17 სპეციალურ მალაზიაში.

კითხვაზე, თუ როგორ აფასებს მალაზია მომსახურე ბაზის მუშაობას,



10% უბასუხა — კარგად, 55% — დამაკმაყოფილებლად და 35% — არადააკმაყოფილებლად.

გამოკვლეული მალაზიებიდან დიდი იყო ზენორმატიული საქონლის მარაგი ტანსაცმელზე და თეთრეულზე, ტრიკოტაჟის ნაწარმზე, მოძველებული მოდელების რადიოსაქონელზე.

როგორც ცნობილია, მოთხოვნის მოცულობა განისაზღვრება ფულად შემოსავლების სიდიდით, მაგრამ სასაქონლო ფონდების განაწილების პრაქტიკა ამას უგულვებელყოფს. სოფლის მოსახლეობის მიზანშეწონილი გამგზავრებები ქალაქებში ხელს უშლის სოფლის მეურნეობის მუშაკთა მწარმოებლურ შრომას, სწავლას, დასვენებას.

სოფლის მოსახლეობის იძულებითი გამგზავრებები ქალაქებში სპეციალურად საქონლის შესასყიდად იწვევს სოფლის მოსახლეობის დამატებით ხარჯებს, სოფლის მყიდველთა მოძალევა იწვევს ქალაქის საცალო ქსელის გადატვირთვას, ამცირებს ქალაქის მოსახლეობის მომსახურების კულტურას.

სასაქონლო ფონდების განაწილების პრაქტიკის სრულყოფის აუცილებლობაზე მეტყველებენ მონაცემები სოფლის მოსახლეობის სურვილების შესახებ.

სოფლის ოჯახების მნიშვნელოვან ნაწილს სურს შეიძინოს ხანგრძლივი სარგებლობის ტექნიკურად რთული საქონელი. ასე მაგალითად, გამოკვლეულ ოჯახთა 25,7% სურს შეიძინოს მაცივრები, 23,9% — სარეცხი მანქანები, 20,8% — მოტოციკლები, 20,0% — ტელევიზორები, 13,3% — მაგნიტოფონები, 7,7% — საკერავი მანქანები. დიდი სურვილებია გამოთქმული აგრეთვე მტკერ-სასრუტების, ფოტოაპარატების, სეპარატორების, მუსიკალური ინსტრუმენტების და ხანგრძლივი სარგებლობის სხვა ტექნიკურად რთული საქონლის შესაძენად.

ამრიგად, როგორც ანექტური გამოკითვის მასალები გვიჩვენებენ, სოფლის მოსახლეობის მოთხოვნის დაკმაყოფილების დონე ჯერ კიდევ მნიშვნელოვნად ჩამორჩება ქალაქის მოსახლეობის მოთხოვნის დაკმაყოფილების დონეს, რაც ფრიად არასასურველ მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

ფულადი შემოსავლებისა და გასაღების დაბალანება წარმოადგენს როგორც ქალაქის, ისე სოფლის მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების მნიშვნელოვან პირობას. თუმცა სოფლის მცხოვრებთა პირადი მოხმარების დაბალი დონის გამო, მათი სავაჭრო მომსახურების დაბალ დონესთან დაკავშირებული პრობლემები უფრო მწვავედ დგას სოფელ ადგილებში, ვიდრე ქალაქის დასახლებებში. აღნიშნულის გამო, თანამედროვე პირობებში აუცილებლად უნდა ამაღლდეს სოფლის მოსახლეობის ფულადი შემოსავლების, პირველ რიგში, მსყიდველობითი ფონდების ათვისების დონე, რათა მიღწეულ იქნას ოპტიმალური თანაფარდობა მოთხოვნასა და მიწოდებას შორის. ამ საკითხების გადაწყვეტა ხელს შეუწყობს ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის პირადი მოხმარების დონეთა გამოთანაბრებას.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი რესპუბლიკის ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის ცხოვრების დონის გამოთანაბრების პრობლემის შესწავლისას არ არსებობს სრულყოფილი სტატისტიკური ინფორმაცია. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საოჯახო ბიუჯეტების შერჩევითი გამოკვლევების მასალები, რომლებიც ახასიათებენ მოსახლეობის მატერიალურ კეთილდღეობას საზოგადოებრივი ჯგუფების მიხედვით.

თანამედროვე პირობებში რესპუბლიკაში გამოიკვლევა მუშების, მოსამსახურეებისა და კოლმეურნეების 1425 ბიუჯეტი. გამოკვლევა მოიცავს სახალხო მეურნეობის შემდეგ დარგებს: მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტი, მშენებლობა საბინაო-კომუნალური მეურნეობა, ჯანმრთელობის დაცვა, განათლება.

გამოსაკვლევი საწარმოები, ორგანიზაციები, დაწესებულებები განლაგებულია ქალაქებში: თბილისი, რუსთავი, სამტრედია, ქუთაისი.

კოლმეურნეთა ოჯახების ბიუჯეტების შერჩევითი გამოკვლევა ტარდება 744 საბჭოთა მეურნეობაში, 31 კოლმეურნეობაში, რომლებიც განლაგებული არიან თითქმის თანაბრად რესპუბლიკის ყველა ეკონომიკურ ზონაში.

საოჯახო ბიუჯეტების გამოკვლევა ტარდება შერჩევით. გამოსაკვლევი ოჯახების ერთობლიობა ფორმირდება გენერალური ერთობლიობიდან დაკვირვების ტიპურ ერთეულთა მექანიკური შერჩევის მეთოდით. ამგვარი შერჩევა უზრუნველყოფს რეპრეზენტატიული მონაცემების მიღებას მოსახლეობის გამოსაკვლევი ჯგუფების ცხოვრების დონეზე.

საოჯახო ბიუჯეტების მონაცემები შეიკრიბება ოჯახების მოზრდილი წევრების გამოკითხვის გზით მათი შემოსავლებისა და გასაღების შესახებ.

საოჯახო ბიუჯეტები გამოიკვლევა ნებაყოფლობით საფუძველზე, ანუ, ოჯახის თითოეული წევრის თანხმობით. ერთი და იგივე ოჯახების ბიუჯეტები გამოიკვლევა განუწყვეტლევ მთელი წლის განმავლობაში. ბევრ ოჯახში ბიუჯეტები გამოიკვლევა მრავალი წლის განმავლობაში, რის საფუძველზეც შესაძლებელი ხდება უფრო ღრმად და ყოველმხრივ იქნას გამოკვლეული ოჯახის შემოსავლების, გასაღების და მოხმარების დონე, მოხმარების სტრუქტურული ძვრები, გამოვლინდეს მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდის ტენდენციები და კანონზომიერებები.

საოჯახო ბიუჯეტების შერჩევითი გამოკვლევების მონაცემები არ შეიძლება მთლად ზუსტად მივიჩნიოთ აბსოლუტური სიდიდეების მიხედვით და მექანიკურად გავავრცელოთ რესპუბლიკის მთელ მოსახლეობაზე. თუმცა, ეს მასალები გვაძლევს საკმაოდ სრულ წარმოდგენას შემოსავლების, გასაღების, მოხმარებისა და საოჯახო ბიუჯეტების სხვა მაჩვენებლების დინამიკისა და სტრუქტურის ცვლილებების შესახებ.

ერთი მხრივ, მუშა-მოსამსახურეების, მეორე მხრივ კი კოლმეურნეების შემოსავლების გამოყენებაზე ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ცხრილი 1.

მუშებისა და მოსამსახურეების და კოლმეურნეთა ოჯახების მიერ მთლიანი შემოსავლების გამოყენების ურთიერთშედარება ფრიად საინტერესო სურათს გვაძლევს. კერძოდ, როგორც ეკონომიკური ანალიზი გვიჩვენებს, კოლმეურნეთა ოჯახები (საშუალოდ ოჯახის ერთ წევრზე გაანგარიშებით) უფრო მეტს ხარჯავენ კვებაზე და არასასურსათო საქონელზე, ვიდრე მუშა-მოსამსახურეთა ოჯახები. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ სოფლის მოსახლეობა ქალაქის მოსახლეობაზე უფრო უზრუნველყოფილია. საქმე ისაა, რომ კოლმეურნეები მთლიანად სოფლის მოსახლეობას განეკუთვნებიან, ხოლო მუშა-მოსამსახურეები როგორც ქალაქის, ისე სოფლის მოსახლეობას. თუ მუშა-მოსამსახურეები კვების პროდუქტების შეძენაზე 1980 წელს ხარჯავდნენ (საშუალოდ ოჯახის ერთ წევრზე) 1692,6 მანეთს 1987 წელს ეს მაჩვენებელი 1891,8 მანეთამდე, ანუ 1,4 ჯერ გაიზარდა. ამავე პერიოდში კოლმეურნეთა მიერ კვების პროდუქტების შეძენაზე გაწეული ხარჯები გაიზარდა 1724-დან

ცხრილი 1

მუშა-მოსამსახურეთა და კოლმეურნეთა ოჯახების მიერ მთლიანი შემოსავლის გამოყენება (საშუალოდ ოჯახის ერთ წევრზე გაანგარიშებით წლის განმავლობაში — მანეთებში)

	1980		1985		1987	
	მუშა-მოსამსახურეები	კოლმეურნეები	მუშა-მოსამსახურეები	კოლმეურნეები	მუშა-მოსამსახურეები	კოლმეურნეები
გამოყენებული მთლიანი შემოსავლები მათ შორის:	4185,1	5847,4	4640,9	6246,2	4809,1	5940,0
კვება	1692,6	1724,0	1763,2	1897,6	1891,8	2012,5
ილყოპოლიანი სასმელები	109,7	487,7	100,3	465,3	90,4	421,1
არასასურსათო საქონელი მათ შორის:	1019,7	1901,4	1189,7	1766,8	1210,1	1662,2
ქსოვილები ტანსაცმელი, თეთრეული, ფეხსაცმელი	604,7	949,5	662,4	871,0	694,5	827,3
კულტსაქონელი	59,9	65,5	84,0	52,7	80,1	54,7
ველოსიპედები, მოტოციკლები, ავტომანქანები	73,1	225,3	64,5	222,0	51,6	111,6
სამშენებლო მასალები	43,0	253,8	66,7	202,0	61,3	203,9
მომსახურება	383,1	402,1	398,4	362,7	463,0	387,5
გადასახადები და შენატანები	816,5	106,8	365,9	128,2	892,3	125,2
დანაკარგები და სხვა ხარჯები	312,1	785,4	421,3	872,2	419,5	791,4
დაგროვება	351,4	439,6	402,0	753,4	342,0	540,2

2012,5 მანეთამდე, ანუ 1,1-ჯერ. 1987 წელს კოლმეურნეებმა (საშუალოდ ოჯახის ერთ წევრზე) დახარჯეს კვების პროდუქტების შესაძენად მუშა-მოსამსახურეებზე (საშუალოდ ოჯახის ერთ წევრზე) 120,7 მანეთით მეტი. ანალოგიური სურათია არასასურსათო საქონლის შეძენის თვალსაზრისით. კერძოდ, მუშა-მოსამსახურეთა ოჯახების მიერ არასასურსათო საქონლის შეძენის ხარჯები 1980 წლის 1019,7 მანეთიდან გაიზარდა 1987 წლის 1210,1 მანეთამდე. კოლმეურნეთა ოჯახების მიერ კი არასასურსათო საქონლის შეძენის ხარჯები 1980 წლის 1901,7 მანეთიდან გაიზარდა 1987 წლის 1662,1 მანეთამდე. შესაბამისად, 1987 წელს კოლმეურნეთა ოჯახებმა მუშა-მოსამსახურეთა ოჯახებთან შედარებით შეიძინეს 452,0 მანეთით მეტი არასასურსათო საქონელი.

ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის ცხოვრების დონის გამოთანაბრების პრობლემის შესწავლისას ინტერესს იწვევს მუშა-მოსამსახურეებისა და კოლმეურნეთა ოჯახების მიერ მსყიდველობითი ფონდების რეალიზაცია არასასურსათო საქონლის შესაძენად (იხ. ცხრილი 2).

მუშა-მოსამსახურეთა და კოლმეურნეთა მსყიდველობითი ფონდების რეალიზაციის ურთიერთშედარება ფრიალ საინტერესო სურათს იძლევა. კერძოდ, როგორც ანალიზი გვიჩვენებს, კოლმეურნეთა ოჯახების მსყიდველობითი ფონდების რეალიზაცია საგრძნობლად აღემატება მუშა-მოსამსახურეთა

1 ცხრილი შედგენილია საქართველოს სსრ სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის საბიუჯეტო სტატისტიკის მონაცემების საფუძველზე.



ცხრილი 3

კვების ძირითადი პროდუქტების მოხმარება მუშა-მოსამსახურეთა და კოლმეურნეთა ოჯახებში (საშუალოდ ოჯახის ერთ წევრზე გაანგარიშებით წლის განმავლობაში კილოგრამებში)

	1980		1985		1987	
	მუშ.ბი და მოსამსახურეები	კოლმეურნეები	მუშ.ბი და მოსამსახურეები	კოლმეურნეები	მუშ.ბი და მოსამსახურეები	კოლმეურნეები
პურპროდუქტები	180,0	209,3	158,4	210,4	157,9	212,3
მათ შორის:						
ფქვილი, პური და მკარონის ნაწარმი ფქვილზე გადანგარიშებით	169,4	198,9	149,7	199,6	149,2	203,3
კარტოფილი	48,4	27,8	48,1	30,8	45,5	33,6
ბოსტნეული	83,6	72,9	80,5	73,9	80,4	77,6
ბალჩეული	10,1	5,8	10,0	7,2	10,6	10,0
რძე და რძის პროდუქტები რძეზე გადანგარიშებით	383,4	235,2	352,5	243,2	356,1	256,3
მათ შორის:						
რძე	48,2	40,6	52,4	42,5	50,8	35,4
კარაჭი	7,6	4,3	7,0	4,0	7,0	4,1
ხორცი და ხორცპროდუქტები ხორცზე გადანგარიშებით	52,7	33,8	47,7	32,8	45,2	34,8
თევზი და თევზპროდუქტები	7,5	5,2	7,3	7,0	8,2	7,6
ზეთი	3,4	2,7	3,4	3,3	3,9	3,9
კვერცხი (ცალბში)	153	113	150	125	152	135
შაქარი	24,9	25,8	23,8	24,0	23,7	21,4

III ცხრილიდან ნათლად ჩანს, რომ კვების ძირითადი პროდუქტების მოხმარების დონე მუშა-მოსამსახურეთა ოჯახებში (საშუალოდ ოჯახის ერთ წევრზე გაანგარიშებით) გაცილებით მაღალია, ვიდრე კოლმეურნეთა ოჯახებში. ამ მიზნით მიზანშეწონილია ერთმანეთს შევადაროთ 1987 წლის სათანადო მონაცემები. კერძოდ, 1987 წელს მხოლოდ პურპროდუქტების მოხმარების მხრივ შეიმჩნეოდა კოლმეურნეთა ოჯახებში მოხმარების სიჭარბე მუშა-მოსამსახურეთა ოჯახებთან შედარებით. საშუალოდ ოჯახის ერთ წევრზე გაანგარიშებით კოლმეურნეებმა მოიხმარეს 212,3 კგ პურპროდუქტები, მუშა-მოსამსახურეებმა კი — 157,9 კგ. ანუ 54,4 კგ-ით ნაკლები. რაც შეეხება სხვა პროდუქტების მოხმარებას შემდეგ სურათს დაეინახავთ. მუშა-მოსამსახურეთა ოჯახებში კარტოფილის საშუალო სულადობრივი მოხმარება შეადგენდა 45,5 კგ-ს, კოლმეურნეთა ოჯახებში — 33,6 კგ-ს, ანუ 11,9 კგ-ით ნაკლებს, მუშა-მოსამსახურეთა ოჯახებში ბოსტნეული მოიხმარებოდა 80,4 კგ-ის ოდენობით, კოლმეურნეთა ოჯახებში კი 77,0 კგ, ანუ 3,4 კგ-ით ნაკლები. სხვა პროდუქტ-

3 ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის საბიუჯეტო სტატისტიკის მონაცემების საფუძველზე.

ტემბის მხრივ ასეთი თანაფარდობა შეიმჩნეოდა: რძის პროდუქტები რძეზე გადაანგარიშებით შესაბამისად 356,1 და 256,3 კგ. ხორცი და ხორცპროდუქტები — შესაბამისად 152 და 135 კგ. შაქარი — შესაბამისად, 23,7 და 21,4 კგ. როგორც ვხედავთ, ჩამორჩენა შესამჩნევია, რაც იმაზე მეტყველებს, რომ პირადი დამზარე მეურნეობა საკმარისი როდია კვების ძირითად პროდუქტებზე მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. სასოფლო საცალო-სავაჭრო ქსელის მომარაგება კვების ძირითადი პროდუქტებით გაცილებით ცუდია, ვიდრე ქალაქის დასახლებებში, რაც სათანადო უარყოფით გავლენას ახდენს კვების პროდუქტების მოხმარების სტრუქტურულ თანაფარდობაზე მუშა-მოსამსახურეებისა და კოლმეურნეების მიხედვით.

ზემოთ მოყვანილი ეკონომიკური მაჩვენებლების ანალიზით ჩვენ გარკვეული წარმოდგენა შეგვექმნა ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის ცხოვრების დონეზე. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ყველა მაჩვენებლის შედარება შეუძლებელი აღმოჩნდა სტატიის მოცულობის შეზღუდულობის გამო. როგორც ზოგადი სურათი გვიჩვენებს, ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მოსახლეობის დონე მთლიანობაში ჩამორჩება ქალაქის მოსახლეობის ცხოვრების დონეს, თუმცა ისიც უნდა აღვნიშნოს, რომ ზრდის ტემპებით ზოგიერთი მაჩვენებელი, რომელიც მოსახლეობის ცხოვრების დონეს განზოგადებულად ახასიათებს (მაგ. ანაბრის საშუალო სიდიდე ერთ მეანბრეზე გაანგარიშებით და ა. შ.) სოფლის მოსახლეობისათვის უკეთესია, ვიდრე ქალაქის მოსახლეობისათვის.

საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების დონის საკითხების შესწავლას განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება ეკონომიკური დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პირობებში.

რატომღაც როგორც საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობის კონცეფცია, ისე მისი ალტერნატიული ვარიანტი გვერდს უვლის „ჩრდილოვანი“ ეკონომიკის არსებობას, მისგან გამომდინარე უარყოფითი შედეგებით. „ჩრდილოვანი“ ეკონომიკის მნიშვნელოვანი კომპონენტია სწორედ დაუკმაყოფილებელი მოთხოვნის მაჩვენებელი. იგი სინთეტურად ასახავს ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის, მუშა-მოსამსახურეებისა და კოლმეურნეების არარეალიზებული მსყიდველობითი ფონდების როგორც ოფიციალურ, ისე არაოფიციალურ სიდიდეს. არაორგანიზებული ფულადი დანაზოგების ზრდა, ფულის ეკონომიკურად გაუმართლებელი მიგრაცია ლახვარს სცემს რესპუბლიკის ფულად მიმოქცევას. ეკონომიკური დამოუკიდებლობის კონცეფციაში ხაზგასმითაა აღნიშნული საკუთარი ფულადი ერთეულის შემოღების აუცილებლობა. სინამდვილეში კი ჩვენ ჯერ კიდევ ვერ შევისწავლეთ რესპუბლიკის ფულადი მიმოქცევის ნაღდი სურათი. კიდევ უფრო ცუდად ვიცით ქალაქად და სოფლად ფულადი მიმოქცევის მდგომარეობა. ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის ფულადი შემოსავლების საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილია „ჩრდილოვანი“ ეკონომიკიდან მიღებული შემოსავლები, არც მოსახლეობის ანაბრებია მთლად მატერიალური კეთილდღეობის ამალგების მაჩვენებლები. საქმე ისაა, რომ ანაბრების ნაშთი არათანაბრადაა განაწილებული მუშა-მოსამსახურეებსა და კოლმეურნეებს შორის. მსხვილი ანაბრები თავმოყრილია მუშა-მოსამსახურეებისა და კოლმეურნეების 20-25%-ის ხელში. განა ამ შემთხვევაში ერთ მეანბრეზე ანაბრის საშუალო სიდიდე, მით უმეტეს, მისი მატება მოსახლეობის კონკრეტული კეთილდღეობის ამალგების მაჩვენებელია? რა თქმა უნდა, არა.

დამოუკიდებელი საბაზო ეკონომიკის შექმნა ბევრ თეორიულ-მეთოდოლოგიური პრობლემის გადაჭრას მოითხოვს. პირველ რიგში, ახლებურადაა გასააზრებელი მოთხოვნა-მიწოდების ეკონომიკური კანონის რესპუბლიკურ დონეზე ფუნქციონირება. განა ეს კანონი რესპუბლიკაშიც იმგვარად ფუნქციონირებს, როგორც საკავშირო დონეზე? რა თქმა უნდა არა. ამ კანონს ფუნქციონირების თავისებურებები გააჩნია ქალაქის დასახლებებში და სოფელ ადგილებში. მათი განხილვა დამოუკიდებელი კვლევის საგანია.

Т. Г. ТУРМАНИДЗЕ, А. Р. ЧИКОВАНИ

## НЕКОТОРЫЕ ВОПРОСЫ УРОВНЯ ЖИЗНИ НАСЕЛЕНИЯ ГРУЗИИ

Резюме

В статье рассматриваются актуальные вопросы уровня жизни городского и сельского населения Грузии, а также общественных групп населения — рабочих, служащих и колхозников. Методом сравнения экономически проанализированы денежные доходы и расходы городского и сельского населения, городской и сельский товарооборот, денежные сбережения городского и сельского населения. Широко анализируются интересные данные бюджетной статистики о доходах и расходах рабочих, служащих и колхозников, а также ряда других параметров. Некоторые аналитические данные взаимосравниваются с аналогичными общесоюзными данными и с данными других союзных республик. Сделана попытка для создания реальной картины об уровне жизни населения Грузии.

### ლიბერატურა

1. Л. А Балкин. Совершенствование форм и методов использования экономических законов социализма, журнал «Плановое хозяйство», 1980, № 3.
2. Л. Я. Баранова, А. И. Левин. Потребности, доходы, потребление. Экономический словарь-справочник. Москва, 1988.
3. З. Ш. Ревшвили. Преодоление существенных различий в уровне жизни городского и сельского населения, Тбилиси, 1986.
4. М. Ш. Максоев. Актуальные вопросы удовлетворения потребностей населения Грузинской ССР, Тбилиси, 1982.
5. А. В. Орлов, Ф. А. Крутиков (общая редакция). Рынок товаров: формирование, управление, Москва, 1986.
6. Материалы Госкомстата ГССР за соответствующие годы.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ სამეცნიერო დარგში პროფ. ლ. ჩიქავამ.

## ნაირა ლევაშვილი

### სამედიცინო მომსახურება, როგორც სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ფაქტორი

ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკურ-ეკონომიკური შინაარსი მდგომარეობს იმაში, რომ თანამედროვე პირობებში იგი წარმოადგენს ადამიანთა საქმიანობის საზოგადოებრივად აუცილებელ დარგს, რომელიც მოწოდებულია დააკმაყოფილოს ადამიანთა ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნა — მოთხოვნილება ჯანმრთელობაზე. ჯანმრთელობის დაცვა ჩვენს ქვეყანაში წარმოდგენილია სახელმწიფო და საზოგადოებრივი სოციალურ-ეკონომიკური და სამედიცინო ღონისძიებების სახით, რომლებიც მიზნად ისახავს დაავადებათა თავიდან აცილებასა და მკურნალობას, გარემო პირობების გაჯანსაღებას, მოსახლეობის შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას, მთელი საზოგადოებისა და მისი ყველა წევრის ჯანმრთელობის დაცვას და განმტკიცებას, რათა უზრუნველყოფილი იქნას დაავადებათა შემდგომი შემცირება და ლიკვიდაცია, ინვალიდობისა და სიკვდილიანობის შემცირება, ადამიანთა ფიზიკური და სულიერი ძალების ჰარმონიული განვითარება, მოქალაქეთა მაღალი შრომის უნარიანობის მიღწევა და ხანგრძლივი აქტიური ცხოვრება.

საწარმოო ძალთა და წარმოებითი ურთიერთობების განვითარებასთან ერთად ჯანმრთელობა უფრო და უფრო გადაიქცევა სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურული პროგრესის ძვირფას ფაქტორად, რის გამოც მალდება ჯანმრთელობის დაცვის როლი საზოგადოებრივი კვლავწარმოების სისტემაში.

კ. მარქსისა და ფ. ენგელსის აზრით, საბოლოო ჯამში ისტორიაში განმსაზღვრელ მომენტს წარმოადგენს წარმოება და კვლავწარმოება უშუალო ცხოვრებისა. მაგრამ თვითონ იგი... არის ორმაგი ხასიათის, ერთის მხრივ — საარსებო საშუალებების: კვების პროდუქტების, ტანსაცმლის საცხოვრებელი ბინისა და მისთვის საჭირო აუცილებელი აღჭურვილობის წარმოება, მეორეს მხრივ — თვით ადამიანის წარმოება<sup>1</sup>.

მეორე სახის წარმოების განმასხვავებელი თავისებურება ის არის, რომ აქ შრომის საგანს წარმოადგენს თვითონ ადამიანი, მისი ორგანიზმი, ხოლო შრომის პროდუქტებს — ამ სისტემის გარკვეული ნიშან-თვისებები. ეს — სამომხმარებლო წარმოება... არის წარმოების მეორე სახე, რომელიც გამომდინარეობს პირველის პროდუქტის განადგურებიდან. პირველი მწარმოებელი ანივთებს თავის თავს, ხოლო მეორეში — პერსონიფიცირდება მათ მიერ წარმოებული საგანი (ნივთი). ამგვარად, სამომხმარებლო წარმოება... ეს არის წარმოებისა და მოხმარების უშუალო ერთიანობა<sup>2</sup>.

1 К. Маркс и Ф. Энгельс. Соч., т. 21, с. 25—26.

2 К. Маркс и Ф. Энгельс. Соч., т. 12, с. 716—717.



თვით ადამიანის ცოცხალი საწარმოო ძალების შექმნა და აღდგენა ძირითადად ხორციელდება პირადი მოხმარების სფეროში, რაც განაპირობებს ამ მოხმარების ჩართვას საზოგადოებრივი კვლავწარმოების სისტემაში, რომელიც თავისი არსით წარმოადგენს „წარმოებას წარმოების გარეშე.“

„ეს ერთობლივი პროცესი მოიცავს როგორც მწარმოებლურ მოხმარებას (უშუალო წარმოების პროცესს)... ისე ინდივიდუალურ მოხმარებას მისი მოსაშუალებ ფორმა — გარდაქმნასთან ანუ გაცვლასთან ერთად“<sup>3</sup>, ე. ი. წარმოება მთლიანად ანუ კვლავწარმოება საზოგადოებრივი მასშტაბით არის პირადი მოხმარებისა და წარმოების უშუალო პროცესის ერთიანობა.

როდესაც ლაპარაკია საარსებო საშუალებებზე კ. მარქსს მხედველობაში ჰქონდა არა მარტო მატერიალური წარმოების სფეროში შექმნილი მოხმარების საგნები ანუ მატერიალური დოვლათი, არამედ ასევე არასაწარმოო სფეროს მომსახურება, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, არამატერიალური წარმოების ის დარგები, რომლებიც მონაწილეობენ სამუშაო ძალის კვლავწარმოებაში იმ არამატერიალური დოვლათის შექმნის გზით, რომლებიც შედის მუშაკთა პირად მოხმარებაში.

ჯანმრთელობის დაცვა უშუალოდ მონაწილეობს სამუშაო ძალის კვლავწარმოების პროცესში და შესაბამისად მთლიანად, საზოგადოებრივი კვლავწარმოების პროცესში. ამიტომ ამგვარ მომსახურებას, რომელიც უზრუნველყოფს აღნიშნულ პროცესს, კ. მარქსმა უწოდა „აუცილებელი“ იგი წერდა: ექიმისა და მასწავლებლის შრომა არ ქმნის უშუალო ფონდს, საიდანაც იგი ნაზღაურდება, თუმცა მათი შრომა შედის იმ ფონდის საწარმოო დანახარებებში, რომელიც საერთოდ ჰქმნის მთელ ღირებულებას და კერძოდ, საშუალო ძალის წარმოების დანახარებებში“<sup>4</sup>.

სამუშაო ძალის კვლავწარმოების დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ ეს პროცესი ემორჩილება წარმოების ამა თუ იმ წესის მთავარ მიზანს, ისე, რომ ყოველი ისტორიულად განსაზღვრული საზოგადოებრივი წყობისათვის დამახასიათებელია სპეციფიური ფორმები, რომლებშიც ხორციელდება და გამოვლინდება სამუშაო ძალის კვლავწარმოებისათვის საჭირო დანახარებების ანაზღაურების საერთო ეკონომიკური კანონი.

თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში განუზომლად იზრდება სამუშაო ძალის როლი. ეს უპირველეს ყოვლისა აიხსნება იმით, რომ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია იწვევს არსებით ძვრებს საზოგადოების საწარმოო ძალებში, ასევე ღრმად ცვლის მის მთავარ ელემენტს — სამუშაო ძალას, რომელიც დღითიდღე იქცევა ადამიანთა უნარის რთულ კომპლექსად შემოქმედებითი თვისებების უპირატესი განვითარების პირობებში. ახლა უკვე წინა პლანზე წამოიწევა სამუშაო ძალის ისეთი ნიშან-თვისებები, როგორცაა: განათლება, კვალიფიკაცია, მუშაკის ფიზიკური და ნერვულ-ფსიქოლოგიური მდგომარეობა, მისი შემგუებლობა სხვადასხვა სახის ზედმეტი დატვირთვის მიმართ, ახალი სახის ცოდნის, ინფორმაციის და ჩვევების სწრაფი ათვისების მიმართ. ბუნებრივია, წარმოიქმნება იმ დარგის დაჩქარებული განვითარების აუცილებლობა, რომლებიც მნიშვნელოვნად

3 კ. მარქსი. „კაპიტალი“, ტომი II, გან. III, გვ. 440.

4 К. Маркс и Ф. Энгельс. Соч., т. 26, ч. I, с. 149—150.

უწყობენ ხელს ამ თვისებების ფორმირებას. ყოველივე ზემოთ თქმული ეხება ადამიანთა საქმიანობის ისეთ სფეროსაც, როგორცაა ჯანმრთელობის დაცვა.

მხოლოდ ხაზი უნდა გავუსვათ იმ გარემოებას, რომ სოციალიზმის პირობებში ჯანმრთელობის დაცვის განვითარება არ შემოიფარგლება სამუშაო ძალის კვლავწარმოების მოთხოვნებით, იგი წყვეტს ისეთ მნიშვნელოვან ამოცანას, როგორცაა პიროვნების ყოველმხრივი განვითარება. ამრიგად, სოციალისტურ საზოგადოებაში ჯანმრთელობის დაცვის ჰუმანური ფუნქციის განხორციელებაში ჯანმრთელობის დაცვის როლი და მნიშვნელობა იზრდება სოციალურ-ეკონომიკურ მნიშვნელობის თვალსაზრისითაც.

ჯერ კიდევ ლენინი აღნიშნავდა, რომ შრომის მწარმოებლურობა დიდადა დამოკიდებული მშრომელთა ჯანმრთელობაზე. ბუნებრივია, რომ მისი დაცვა და განმტკიცება ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას<sup>5</sup>. ახანგრძლივებს რა ადამიანთა სიცოცხლეს, ამცირებს რა ავადმყოფობით, ინვალიდობითა და ნაადრევი სიკვდილით გამოწვეულ სამუშაო დროის დანაკარგებს და ამაღლებს რა მთლიანად მშრომელი მასების ჯანმრთელობის დონეს, ჯანმრთელობის დაცვა წყვეტს ისეთ მნიშვნელოვან პრობლემას, როგორცაა საზოგადოების შრომითი რესურსების შენარჩუნება და გამრავლება. საბოლოოდ იგი გავლენას ახდენს ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარებაზე, მისი ეკონომიკური პოტენციალის განმტკიცებაზე.

ჯანმრთელობის დაცვა, ისევე როგორც არამატერიალური წარმოების სხვა დარგი, არ მონაწილეობს უშუალოდ ეროვნული შემოსავლის წარმოების პროცესში, მაგრამ მიუხედავად ამისა ქმნის რა რეალურ მატერიალურ დოვლათს, რომელიც შედის საზოგადოების პირადი მოხმარების ფონდში მატერიალურა წარმოების II ქვედანაყოფის პროდუქტებთან ერთად, აქტიურ მონაწილეობას ღებულობს სამუშაო ძალის კვლავწარმოების პროცესში, რომელიც მთლიანი საზოგადოებრივი კვლავწარმოების პროცესის შემადგენელი ნაწილია. ამრიგად, ჯანმრთელობის დაცვის კავშირი მატერიალური წარმოების სფეროსთან ხორციელდება არამარტო ამ უკანასკნელის ზემოქმედების საშუალებით, ჯანმრთელობის დაცვის განვითარების დონესა და ტემპზე, არამედ უკუკავშირის გზითაც. ცხადია, თუ ერთის მხრივ მატერიალური წარმოება უზრუნველყოფს ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის განვითარებას იმით, რომ განსაზღვრავს ჯანმრთელობის დაცვის განვითარებისათვის საჭირო სახსრებსა და რესურსების სიდიდეს მუშაკთა ჯანმრთელობის დონისადმი მუდმივად მზარდი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით მეორეს მხრივ, ჯანმრთელობის დაცვა ხელს უწყობს რა მნიშვნელოვნად სამუშაო ძალის ფორმირებას, საბოლოო ჯამში იწვევს საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების ზრდას, ეროვნული შემოსავლის გადიდებას, საზოგადოების შემდგომ სოციალურ-ეკონომიკურ პროგრესს.

ამრიგად, ჯანმრთელობის დაცვა გვევლინება როგორც აუცილებელი სასიცოცხლო მნიშვნელობის დარგი, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოების ჯანმრთელობის დაცვას და მის გაუმჯობესებას, ამავე დროს იგი არის რეალური ძალა, რომელიც ხელს უწყობს ქვეყნის ეროვნული სიმდიდრის ზრდას.

ისმება კითხვა: კონკრეტულად რას მოიცავს ჯანმრთელობის დაცვა, როგორც სახალხო მეურნეობის დარგი: თანამედროვე საბჭოთა და საზღვარგარე-

თულ სამეცნიერო ლიტერატურაში არ არსებობს არასაწარმოო სფეროს აღნიშნული დარგის ფუნქციონირების საზღვრების მკაფიო განსაზღვრა.

ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ჯანმრთელობის დაცვა წარმოადგენს იმ ღონისძიებათა სისტემას, რომლებიც მიმართულია მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნებისა და მისი მუდმივი გაუმჯობესებისაკენ. ამგვარი მიდგომა დამახასიათებელია საბჭოთა და საზღვარგარეთელი მეცნიერთა უმეტესი ნაწილისათვის სოციალური ჰიგიენისა და ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციის სფეროში. მათ შორის გვხვდება ისეთი მოსაზრებაც, რომლის მიხედვითაც ჯანმრთელობის დაცვა განიხილება როგორც სახალხო მეურნეობის დარგი, მაგრამ იმის გამო, რომ იგი მიეკუთვნება არასაწარმოო სფეროს მას გამოირიცხავენ წარმოებითი ურთიერთობის სისტემიდან<sup>6</sup>.

სოციალისტური ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის მინისტრების თათბირის მასალებში (23 ივნისი-2 ივლისი 1976 წ. მოსკოვი) სოციალისტური ჯანმრთელობის დაცვა განსაზღვრულია, როგორც „სოციალურ-ეკონომიკური და სამედიცინო ღონისძიებების ფართო სისტემა, რომელსაც ახორციელებს საზოგადოება მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და მუდმივი გაუმჯობესების მიზნით, შრომის, ყოფა-ცხოვრებისა და დასვენების ოპტიმალური პირობების, ადამიანის ჰარმონიული ფიზიკური და სოციალური განვითარებისა და საზოგადოების ყველა წევრის აქტიური შემოქმედებითი დღეგრძელობის უზრუნველსაყოფად“<sup>7</sup>. აღნიშნული განმარტების თანახმად ჯანმრთელობის დაცვა მოიცავს როგორც მატერიალური წარმოების, ისე არასაწარმოო სფეროს მთელ რიგ დარგებს.

ჩვენის აზრით, ჯანმრთელობის დაცვას, როგორც სახალხო მეურნეობის დარგს მიეკუთვნება მხოლოდ ის დაწესებულებები, რომელთა ფუნქციონალური დანიშნულება მთლიანად დაიყვანება ცალკეული პირებისა და მთელი საზოგადოების მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე სამედიცინო დახმარებისა და სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური მომსახურების ხაზით.

სინამდვილეში საბჭოთა ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში იმ დაწესებულებების გარდა, რომლებიც ახორციელებენ მოსახლეობის სამკურნალო-პროფილაქტიკურ და სანიტარულ-ეპიდემიოლოგიურ მომსახურებას, შედის ისეთი ელემენტებიც, როგორიცაა მედიცინის მეცნიერებათა აკადემია და სამედიცინო პროფილის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები, სამედიცინო და ფარმაცევტული კადრების მომზადების სისტემა, საფთვიაქო მომსახურება.

წინამდებარე გამოკვლევაში ჩვენ დავეყრდნობით ჯანმრთელობის დაცვის — როგორც სახალხო მეურნეობის დარგის განსაზღვრას ვიწრო გაგებით, რომლის ქვეშ იგულისხმება ჯანმრთელობის დაცვის, როგორც დარგის იმგვარი საქმიანობა, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია ადამიანის ბუნებასთან, სამედიცინო-ბიოლოგიური პროცესების მიმდინარეობასთან ადამიანის ორგანიზმში, მის შინაგან და გარე სამყაროსთან.

<sup>6</sup> Головтеев В. В., Калью П. И., Пустовой И. В. Основы экономики советского здравоохранения, М., «Медицина», 1974 г. Руководство по социальной гигиене и организации здравоохранения. Под ред. Виноградова Н. А. Т. 1, М., «Медицина» 1974 и др.

<sup>7</sup> Основные направления и перспективы развития социалистического здравоохранения. М., МЗ СССР, 1976, с. 2.

შრომა ჯანმრთელობის სფეროში იხარჯება უშუალოდ მომხმარებლებზე, ან ცალკეულ ელემენტებზე. ჯანმრთელობის დაცვის სფეროში შრომის პროცესისათვის დამახასიათებელი თავისებურება იმაშიც ვლინდება, რომ აღნიშნული პროცესი ხორციელდება საზოგადოებრივად ორგანიზებულ პირადი მოხმარების სფეროში, სადაც არა მარტო იქმნება მატერიალური დოვლათი არასაწარმოო ფონდების სახით, არამედ ერთი და იმავე დროს იქმნება და მოიხმარება კიდევ ახალი მატერიალური დოვლათი, რომელიც მოცემული შრომითი პროცესის შედეგს წარმოადგენს: ამრიგად, აქ წარმოებისა და მოხმარების პროცესები ერთმანეთს ემთხვევა დროშიც და სივრცეშიც.

ცნობილია, რომ მატერიალურ წარმოებაში შრომის პროცესი წარმოადგენს შემდეგი მარტივი მომენტების ერთიანობას: „მოზანშეწონილი მოქმედება, ანუ თვით შრომა, შრომის საგანი და შრომის საშუალებანი“<sup>8</sup>.

არამატერიალური დოვლათის წარმოების პროცესში მატერიალური დოვლათი გამოიყენება შრომის ნივთობრივი ელემენტების სახით. მაგრამ ისინი უკვე აღარ წარმოადგენენ საკუთრივ შრომის საშუალებებს და აქვთ სხვა ეკონომიკური ფორმა, სპეციფიკური მოხმარების საგნების ფორმა. ასე მაგალითად, სამედიცინო დახმარების აღმოჩენის პროცესში ექიმი იყენებს სხვადასხვა ტექნიკურ საშუალებებს, მაგრამ ისინი არსებითად განსხვავდებიან შრომის საშუალებისაგან იმით, რომ არ გადააქვთ თავიანთი ღირებულება მათ მიერ შექმნილ არამატერიალურ დოვლათზე, ისინი ცხადია არც მოცემული ნივთობრივი ელემენტების ე. წ. არასაწარმოო ფონდების კვლავწარმოების წყაროს წარმოადგენენ. არასაწარმოო, ფონდები, ისევე როგორც ნებისმიერი მოხმარების საგნები, ან მთლიანად ან ნაწილობრივ მოიხმარება შრომის პროცესში, და საბოლოო ჯამში, გვევლინება როგორც მოკლევადიანი ან ხანგრძლივი მოხმარების საგნები. მაგრამ ისინი ასევე არსებითად განსხვავდებიან ჩვეულებრივი მოხმარების საგნებისაგან. არასაწარმოო ფონდების თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მათი მოხმარება არ წარმოადგენს თვითმოზანს. არ ხდება უშუალოდ მათი სახმარი ღირებულების მოხმარება, არამედ ისინი მოიხმარება მხოლოდ იმ სასარგებლო ეფექტის გამოყენებასთან ერთად რომელიც მოცემულია ჯანმრთელობის დაცვის მუშაკების ცოცხალ შრომაში. ჯანმრთელობის დაცვის დარგში არ არსებობს ასევე შრომის საგანი, როგორც ასეთი, რამდენადაც აქ შრომის ობიექტი არის არა ბუნების საგანი და წარსული შრომის პროდუქტი, არამედ უშუალოდ თვითონ ადამიანი.

საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამძლეების საქმეში, ჯანმრთელობის დაცვის როლის გამორკვევის მიზნით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, სოციალისტური ჯანმრთელობის დაცვის შინაარსი განხილულ იქნეს იმ პოზიციიდან, როგორც ეს განხილული აქვს: ს. პ. ბურენკოვს, ვ. ვ. გოლოვტიევს და ვ. პ. კორჩაგინს:

ა) სოციალური კუთხით — ჰუმანიზმისა და დემოკრატიის პრინციპები;

ბ) „ტექნოლოგიური“ კუთხით მოსახლეობისათვის საყოველთაო მისაწვდომი უფასო მაღალკვალიფიციური სამედიცინო დახმარების მეცნიერული ხასიათი; სამედიცინო მეცნიერების მიღწევათა დანერგვა სამედიცინო-პროფილაქტიკური დაწესებულებების ფართო პრაქტიკაში; სამედიცინო მეცნიერებისა და პრაქტიკის ორგანიზებული ურთიერთკავშირი;

<sup>8</sup> კ. მარქსი. „კაპიტალი“, ტ. I; გვ. 228.

გ) ეკონომიკური კუთხით — საზოგადოებრივი კვლავწარმოების პროცესში ჯანმრთელობის მზარდი როლი, როგორც მთავარი საწარმოო ძალზე ზემოქმედების ისე მისი გაფართოების უზრუნველყოფის თვალსაზრისით<sup>9</sup>.

საბჭოთა ჯანმრთელობის დაცვის პრინციპების განხილვა ამგვარი პოზიციიდან საშუალებას იძლევა, არა მარტო სრულად იქნეს გაშუქებული სოციალისტური ჯანმრთელობის უპირატესობანი, არამედ ხაზი გაესვას ასევე ჯანმრთელობის დაცვის სოციალურ-ეკონომიკურ შინაარსს.

რაც შეეხება ჯანმრთელობის სფეროში შრომითი და მატერიალური დანახარჯების თავისებურებებს, სწორედ ისინი განაპირობებენ ჯანმრთელობის დაცვის პროდუქტის სპეციფიკას. რამდენადაც მხოლოდ ჯანმრთელობის დაცვის მუშაკთა შრომის ფორმალიზებული შედეგების დახმარებით არის შესაძლებელი, გამოკვლეული იქნას მოცემული დარგის ადგილი და როლი საზოგადოებრივი კვლავწარმოების სისტემაში, ნაჩვენები იქნას, რომ აღნიშნული დარგი, მართალია არ აწარმოებს წარმოების წესის მატერიალურ საფუძველს, არაპირდაპირ ზემოქმედებას ახდენს მის განვითარებასა და ფუნქციონირებაზე, უშუალოდ მონაწილეობს სამუშაო ძალის კვლავწარმოების სოციალურ-პიგიენტური პირობების დაცვასა და უზრუნველყოფაში, გასაშუალებელი გზით კი საზოგადოებრივი პროდუქტის კვლავწარმოებაში უზრუნველყოფს მატერიალური წარმოების სფეროს განვითარებას საზოგადოებრივი შრომის სანიტარულ-პიგიენტური პირობების გაუმჯობესებით, შრომის უუნარობით გამოწვეული სამუშაო დროის დანაკარგების შემცირებით, დაავადებებისა და სიკვდილიანობის შემცირებით, ასევე სიცოცხლის ვახანგრძლივებით, რაც შესაბამისად ხელს უწყობს ერთობლივი სამუშაო დროის გადიდებასა და საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების ამაღლებას. სამამულო და საზღვარგარეთულ ეკონომიკურ ლიტერატურაში ფართოდ არის გავრცელებული მოსაზრება, რომლის თანახმადაც ჯანმრთელობის დაცვის მუშაკთა შრომის შედეგს ანუ „ჯანმრთელობის დაცვის ეფექტს“ წარმოადგენს: მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესება და შენარჩუნება, მოსახლეობასა და შრომით რესურსებში ისეთი ხარისხობრივი მახასიათებლების ცვლილებების განხორციელება, როგორცაა მაგალითად: მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობა, დაავადების დონის შემცირება და მისი სტრუქტურის ცვლილება, აქტიური შრომის უნარიანობის გადიდება და ა. შ<sup>10</sup>.

ზოგიერთი ეკონომისტი ჯანმრთელობის დაცვის საქმიანობის შედეგს განსაზღვრავს არაპირდაპირი გზით, რაც აისახება ეროვნული შემოსავლის ზრდაში, რომელიც მიიღება დაავადების, ინვალიდობისა და სიკვდილიანობის შემცირებითა და მშრომელი მასების მდგომარეობის საერთო გაუმჯობესების შედეგად<sup>11</sup>.

უდავოა, რომ ყველა ეს ცვლილება დამოკიდებულია ჯანმრთელობის დაწესებულებების საქმიანობაზე, მაგრამ არა მარტო მათ საქმიანობაზე. რო-

<sup>9</sup> Социалистическое здравоохранение: задачи, ресурсы, перспективы развития. М., «Медицина», 1979, с. 55.

